# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 1 მაისი 2007 №96 (3019) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## გელაშვილს თვალი ბრიუგემაც დაადგა

2



## ნახევრის ნახევრის ნახევარი საქმე

დღეს თასის საპასუხო ნახევარფინალებია:

სიონი — ამერი

ბათუმი — ზესტაფონი

3



## რატომ ვერ იქნება არველაძე დენი ბლინდი

4




# აფრიკა სათუო და სათუმცაო გახდა

## იოზეფ ბლატერმა 2010-ს 911 აუკრიფა

მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლის ოჯახში არეულობაა...

2010 წლის მუნდიალის მასპინძელი შეიძლება... შეიცვალოს. ამის შესახებ ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა **BBC**-სთან საუბარში განაცხადა.

მიზეზი: სამხრეთ აფრიკა ვერ ემზადება სამასპინძლოდ ისე, როგორც საჭიროა და გამორიცხული არ არის, დათქმულ ვადებში ვერ ჩაეტიოს — ზოგიერთი სტადიონის მშენებლობა შეჩერებულია, ზოგისა კი შეფერხებით მიმდინარეობს. ამიტომ, ბლატერის განცხადებით, ფიფას აქვს სათადარიგო ვარიანტები: „ბევრია ისეთი ქვეყანა, რომლებიც ხვალვე, ორ დღეში ან ორ თვეში მზად იქნებიან სამასპინძლოდ. მაგალითად, ინგლისი, ავსტრალია, აშშ, მექსიკა და იაპონია. საკმარისი სტადიონებიც აქვთ და ინფრასტრუქტურაც მოწესრიგებულია. ვიმედოვნებ, სამხრეთ აფრიკაში პრობლემებს დროულად მოაგვარებენ. ჩვენ გვჯერა მათი, თუმცა...“




# ბენიტესი ხმაურინიუს იწვევს

„ლონდონის „ჩელსიმ“ მილიონები და კიდევ მილიონები დახარჯა, რათა ტიტული მოიპოვოს, თუმცა ევროპულ ჯილდოს ჯერაც ვერ ეღირსა. ამდენი ფულის პატრონმა მართლაც უნდა გაიმარჯვოს, თორემ დიდი წნეხის ქვეშ აღმოჩნდება. ჩვენ კი რა, თუ მოვიგებთ, ვიტყვით, რომ დავამარცხეთ ის, ვინც ბოლო ხუთ წელიწადში ყველაზე მეტი გაიღო, ხოლო თუ წავაგეთ, თავს იმით ვინუგეშებთ, რომ გამარჯვებისთვის ყველა ღონე ვიხმარეთ. ფავორიტი, რა თქმა უნდა, „ჩელსია“, თუმცა, თუ ჩვენ ჩვენებური ფეხბურთი ვითამაშეთ, მოვიგებთ“ — თქვა „ლივერპულის“ მწვრთნელმა რაფა ბენიტესმა და ახლა ჩვენთან და „ჩელსისთან“ ერთად საღამოს ელის.

ლონდონელთა თავკაცმა მაურინიუმ კი, რა თქმა უნდა, თავისი არ დააკლო ესპანელს და, ეჭვი მაქვს, ეს მატჩი მისთვის ბოლო იქნებაო, განაცხადა.

დღეს „ენფილდ როუდზე“ ის მატჩია, რომელშიც, ბევრის აზრით, მთავარი სიტყვა „კოპად“ წოდებულმა, უტეხი სულით სახელგანთქმულმა ტრიბუნამ უნდა თქვას და რომელმაც ჩემპიონთა ლიგის ფინალისტის ვინაობა უნდა გვამცნოს.

წინა ოთხშაბათს ლონდონში „ჩელსიმ“ ჯო კოულის გოლით 1:0 მოიგო.

# ბოლო ვერ იყო ცანკერკეტი

**გუშინ** საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა სლოვენიის ქალაქ ნოვა გორიცაში საერთაშორისო ტურნირი „ევროპა უნიტა“ მარცხით დაასრულა. მესამე ადგილისთვის მატჩი ქართველმა ყმაწვილებმა ხორვატიის ნაკრებთან 1:5 დათმეს.

ჩვენებიდან ერთადერთი გოლი ერეკლე ფილიამ პენალტით გაიტანა.

საქართველოს ნაკრების ძირითადი შემადგენლობა ასეთი იყო: *ნიორაძე, ჭანკვეტაძე, ახალბედაშვილი, მარცხულავა, რიგვავა, გორდეზიანი, მეუნარგია, ბაგალიშვილი, ფილია, მელიქიშვილი, შეყილაძე.*

შეგახსენებთ, ჰერბერტ ცანკერის გუნდმა რვაგუნდა ტურნირზე თავის ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა, ნახევარფინალში კი სერბეთთან პენალტებით წააგო.

**ილია ნანობაშვილი**

# გელაშვილს თვალი ბრიუგემაც დაადგა

## ბელგიური შანსი გოლით გაიზარდა



**„ვიტ ჯორჯიას“** ფორვარდ ნიკა გელაშვილს, რომელიც ბელგიურ „ბეერსხოტში“ იმყოფებოდა გასინჯვაზე, თბილისში გუშინ ელოდნენ, მაგრამ 22 წლის ფეხბურთელი ბენილუქსში 6 მაისამდე დაიტოვეს და თანაც ვინ — ნიკას ბელგიური გრანდი „ბრიუგე“ აკვირდება.

როგორც შევიტყვეთ, ბელგიაში გელაშვილის თამაში მოსწონებიათ და სურთ, კიდევ ნახონ საქმეში.

„გვეგონა, ნიკა დღეს შემოგვიერთდებოდა, მაგრამ ბელგიელებმა მოისურვეს, კიდევ ერთ საკონტროლო მატჩში ითამაშოს. გელაშვილით „ბეერსხოტის“ გარდა თვით „ბრიუგეც“ დაინტერესდა“ — გვითხრეს „ვიტ ჯორჯიადან“.

გელაშვილის „ბრიუგეში“ ყოფნას ბელგიური კლუბის ოფიციალური ვებგვერდიც ადასტურებს. ჩვენებური ახლა სწორედ ამ გუნდშია და საკონტროლო მატჩიც ითამაშა, „ბრიუგეს“ სარეზერვო გუნდმა 4:1 მოუგო „ზულტე-ვარეგემს“. ჩვენებურმა მეოთხე გოლი გაიტანა. როგორც ვებგვერდი იუწყება, გელაშვილის ბელგიაში დარჩენის საკითხი ჯერ არ გადაწყვეტილა და ქართველ ფეხბურთელს კიდევ ერთ საკონტროლო თამაშში გამოცდიან.

გამორიცხული არ არის, თუ გელაშვილი „ბრიუგემ“ არ აიყვანა, ისევ „ბეერსხოტში“ მიბრუნდეს.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

# მჭავანაძეს დაღესტანი ელირსეს

**როგორც** იქნა, საშველი დაადგა კახა მჭავანაძის ოდესის „ჩერნომორეციდან“ მახაჩყალის „ანჟიში“ გადაბარგებას. რუსეთში ჩასასვლელად მას, ცხადია, ვიზა სჭირდებოდა და ისიც ცხადია, რომ ეს საქმე გაუჯანჯლდებოდა, თუმც ბოლოს ყველაფერი მოგვარდა.



ოდესელთა მწვრთნელმა სემიონ ალტმანმა მეორე წრიდან ქართველები აითვალწუნა — ილია კანდელაკი სათადარიგოებში გაამწესა, გიორგი შაშიაშვილი თბილისის „დინამოში“ გაანათხოვრა, მჭავანაძე კი „ანჟიში“.

მახაჩყალელები მჭავანაძეს თვენახევარი ელოდნენ. დაღესტნელთა ახალი მთავარი მწვრთნელი ომარ თეთრაძე ქართველით აპირებდა დაცვის გაძლიერებას, ამასობაში კი რუსეთის პირველ დივიზიონში უკვე შვიდი ტური მიილია და ჩვენებური ახლაღა შეუერთდა გუნდს, სადაც ზურაბ არზიანი და გოჩა ხოჯავა დახვდნენ.

მახაჩყალელები პრემიერლიგაში დაბრუნებას ლამობენ, შვიდი ტურის შემდეგ 14 ქულა აქვთ და მესამე ადგილზე არიან.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

## 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი
## ჩვენი მეტოქე

# ვიეირას იტალიის თასი საქართველოსთვის უნდა



**საფრანგეთის** ნაკრებისა და „ინტერის“ ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა ორთვიანი მკურნალობის შემდეგ ვარჯიშს შეუდგა. მას მუხლის მყესი ჰქონდა დაჭიმული. ფრანგი უკვე ბურთით ვარჯიშობს და იტალიის თასის ფინალისთვის ემზადება, რომელიც 9 და 17 მაისს გაიმართება.

„მინდა, რაც შეიძლება მალე ჩავდგე მწყობრში და „ინტერის“ შემადგენლობაში რამდენიმე მატჩი ვითამაშო, რათა სანაკრებო შეხვედრებისთვის სრულ მზადყოფნაში ვიყო“ — განაცხადა ვიეირამ.

სანაკრებო თამაშები კი ფრანგებს 2 და 6 ივნისს უწევთ უკრაინასა და საქართველოსთან. ასე რომ, ვიეირა ჩვენების ოსერში დასახვედრად ემზადება.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**





საინფორმაციო მხარდაჭერა

ოლიმპი სარბიელი


05.05.2007 - 23-ე ტურის გათამაშების ცხრილი

| | |
|---|---|
| ჩიხურა-ბორჯომი | კახეთი-სიონი |
| ვიტ ჯორჯია-დინამო (ბთ) | მაღაროელი-გაგრა |
| ოლიმპი-დინამო (თბ) | ზენიტი-კრილია სოვეტოვი |
| მერანი-დილა | მილანი-ფიორენტინა |
| ლოკომოტივი-ამერი | სპარტაკი (მოს)-რუბინი |
| ზესტაფონი-ტორპედო | |

### ინგლისი
პრემიერლიგა
XXXVI ტური
რედინგი 1:0 ნიუკასლი

### გერმანია
მეორე ბუნდესლიგა
XXXI ტური
ესენი 0:0 ჰანზა

### ნორვეგია
ტიპელიგა. IV ტური
ლილესტრიომი 3:1 ლინი

### შვედეთი
ალსვენსკა. IV ტური
იორებრო 2:0 ტრელებორგი
გეფლე 1:0 გაის
გიოტებორგი 1:1 ჰალმსტადი

### საფრანგეთი
მეორე დივიზიონი
XXXIV ტური
კაენი 1:1 გენიონი

### პორტუგალია
სუპერლიგა. XXVII ტური
აკადემიკა 0:1 ბრაგა

### ჩეხეთი
გამბრინუს ლიგა
XXV ტური
ბანიკი 2:2 სპარტა

### შოტლანდია
პრემიერლიგა. XXXV ტური
სენტ მირენი 0:1 დანფერმლაინი

### რუმინეთი
I ლიგა. XXIX ტური
რაპიდი 3:0 პოლიტეხნიკა

### ფინეთი
ვეიკაუსლიგა. III ტური
იარო 1:1 მარიეჰამნი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი
ამირან ანდღულაძე
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს


იყიდება

6 000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ნუცუბიძის IV მ/რ ახლოს, სოფელ-აგარაკთან, მუხათწყაროს გზის ნაპირზე.
ფასი შეთანხმებით. ტელ: 893 42-74-94

რეკლამა
სარბიელ—ში
Tel: 38 11 14, 877 54 55 00

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება

ნახევარფინალი. საპასუხო მატჩები



ბადრი კოთოლაძის ფოტო

# ნახევრის ნახევრის ნახევარი საქმე

**ბოლნისი. 1 მაისი. 16.10 საათი. თამაზ სტეფანია**

### სიონი — ამერი (0:3)

ზედიზედ მესამე სეზონია, „სიონი" და „ამერი" საქართველოს თასზე ერკინებიან ერთმანეთს და გლდანელები ულმობლად ექცევიან ქვემოქართლელებს — ორჯერ უკვე გამოთიშეს და მესამე ჯერზეც მიდიან. რა სასწაული უნდა მოხდეს, გიორგი ჩიხრაძის გუნდმა შინ მოგებული 3:0 წყალს გაატანოს.

საქართველოს თასზე ამხელა ჩამორჩენა არასოდეს ამოქაჩულა. მიუხედავად ამისა, ჩიხრაძე ალბათ მაინც ოპტიმალურთან მიახლოებულ შემადგენლობას გაიყვანს „თამაზ სტეფანიაზე", სიფრთხილეს თავი არ სტკივა...

„სიონი" ალბათ თავიდანვე შეუტევს და სწრაფი გოლის გატანას ეცდება, მაგრამ ცდა ერთია, მარიფათი კი მეორე.

**ბათუმი. 1 მაისი. 16.00 საათი. ადელი**

### ბათუმი — ზესტაფონი (0:4)

„ზესტაფონი" „ამერზე" გულარხეინადაა — 4:0 აქვს მოგებული და მამალმერთიც ვერ წაართმევს ფინალის საგზურს. ფეროელებმა ორი წლის წინაც გამოთიშეს თასს ზღვისპირელები, თუმც მაშინ გაუჭირდათ და ოდენ ერთი ბურთის ხხვაობით იმარჯვეს. იმერელთა თავკაც თემურ მახარაძეს წამყვანი ფეხბურთელების დასვენებაც თავისუფლად შეუძლია. რაც უნდა იყოს, ზესტაფონელებს ჩემპიონატშიც საბრძოლველი აქვთ — ვინიცობაა, ფინალი წააგონ, ინტერტოტოს თასზე გასვლა სურთ და საამისოდ მესამე ადგილზე უნდა გავიდნენ.

**ილია ნანობაშვილი**

**ურთიერთშეხვედრები**

2004-05

**თასი**

სიონი 2:3 ამერი

ამერი 2:0 სიონი

2005-06

**თასი**

სიონი 0:0 ამერი

ამერი 1:0 სიონი

**ჩემპიონატი**

ამერი 0:1 სიონი

სიონი 3:0 ამერი

**სუპერთასი**

ამერი 1:0 სიონი

2006-07

ჩემპიონატი

სიონი 1:1 ამერი

ამერი 1:0 სიონი

**თასი**

ამერი 3:0 სიონი

სიონი — ამერი +2=2-6

ბურთები 7:12

**ურთიერთშეხვედრები**

2004-05

**ჩემპიონატი**

ბათუმი 5:0 ზესტაფონი

ზესტაფონი 2:1 ბათუმი

ბათუმი 0:0 ზესტაფონი

ზესტაფონი 2:0 ბათუმი

**თასი**

ბათუმი 0:0 ზესტაფონი

ზესტაფონი 1:0 ბათუმი

2005-06

**ჩემპიონატი**

ბათუმი 2:2 ზესტაფონი

ზესტაფონი 0:0 ბათუმი

2006-07

**ჩემპიონატი**

ბათუმი 0:0 ზესტაფონი

ზესტაფონი 4:0 ბათუმი

**თასი**

ზესტაფონი 4:0 ბათუმი

ბათუმი — ზესტაფონი +1=5-5

ბურთები 8:15

# მე არ მინდა მეთორმეტე, მე მინდა მესამე

## ადი-ჩადის კონტურები

**ვინ** იქნება უმაღლეს ლიგაში მეთორმეტე და ვინ იქნება პირველ ლიგაში მესამე? უმაღლესის ქვედა და პირველის ზედა ნაწილებში სწორედ ეს ინტრიგაღაა შერჩენილი, თორემ გავარდნილ-აღზევებულები უკვე ცნობილია: „კახეთსა" და „დილას" „მგლები" და „მესხეთი" შეცვლიან. მართალია, გორელებს კიდევ შერჩათ გადარჩენის თეორიული შანსი და ახალციხელებსაც ერთი მოგებაღა სჭირდებათ საუმაღლესლიგო საგზურისთვის, მაგრამ ეს ისეთი შანსია, შანსიც არ ჰქვია...

უმაღლესის მეთორმეტე ადგილზე გასვლა ოთხ გუნდს ემუქრება, ხოლო პირველი ლიგის მესამეადგილოსნობას სამნი ეშურებიან. ახლა კი ცხრილს და დარჩენილ კალენდარს შევხედოთ:

**უმაღლესი ლიგა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 9. ბათუმი | 22 | 6 | 5 | 11 | 21:26 | 23 |
| *ვიტ ჯორჯია (ს), ჩიხურა (შ), ბორჯომი (შ), დინამო (ს)* | | | | | | |
| 10. ლოკომოტივი | 22 | 5 | 6 | 11 | 14:30 | 21 |
| *ამერი (შ), ტორპედო (ს), სიონი (შ), კახეთი (ს)* | | | | | | |
| 11. მერანი | 22 | 4 | 7 | 11 | 15:35 | 19 |
| *დილა (შ), ამერი (შ), ტორპედო (შ), დილა (ს)* | | | | | | |
| 12. ჩიხურა | 22 | 4 | 6 | 12 | 12:33 | 18 |
| *ბორჯომი (შ), ბათუმი (ს), დინამო (შ), დილა (ს)* | | | | | | |

**პირველი ლიგა**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 3. მეშაქრე | 29 | 13 | 9 | 7 | 35:25 | 48 |
| *ნ. დინამოელი (ს), მესხეთი (შ), ზესტაფონი 2 (ს), რაჭა (შ), ამერი 2 (ს)* | | | | | | |
| 4. გაგრა | 29 | 14 | 5 | 10 | 41:34 | 47 |
| *ჩიხურა 2 (შ), მაღაროელი (ს), სპარტაკი (შ), დინამო 2 (ს), მგლები (შ)* | | | | | | |
| 5. მაღაროელი | 29 | 13 | 8 | 8 | 41:29 | 47 |
| *სამტრედია (შ), გაგრა (შ), დინამო 2 (ს), მერცხალი (შ), ნ. დინამოელი (ს)* | | | | | | |

„ბათუმი" ხუთი ქულით კი უსწრებს „ჩიხურას", მაგრამ ცუდი კალენდარი აქვს — როგორ გინდა, „ვიტ ჯორჯიასთან" და „დინამოსთან" სტუმრად თამაში გელოდეს და მშვიდად იყო. ამიტომაც ზღვისპირელები მაქსიმალურად უნდა ეცადონ საშინაო თამაშებში ქულების აკრეფას, მით უმეტეს, სწორედ კონკურენტებს მასპინძლობენ.

შედარებით იოლი კალენდარი „ლოკომოტივს" აქვს, რაკილა გავარდნილ „კახეთსა" და დაუძლურებულ „ტორპედოს" სტუმრობს. „მერანს" კი მიჯრით სამი საშინაო მატჩი ელის და მათ შორის მხოლოდ „ამერი" ჰყავს ძლიერი მეტოქე.

საპლეიოფო მეთორმეტე ადგილზე „ჩიხურაა", თუმცა უიმედო მდგომარეობა არა აქვს, რადგან ჯერ უმაღლესში ადგილშენარჩუნებულ „ბორჯომს" მასპინძლობს, მერე კი კონკურენტ „ბათუმს" ესტუმრება და ბოლო ტურში სულაც „დილას" შეეტოქება გორში.

გული გვიგრძნობს, უიღბლო მეთორმეტეადგილოსნის ბედი ბოლო ტურში გაირკვევა, ისევე, როგორც პირველ ლიგაში იღბლიანი მესამეადგილოსნისა.

– ორი ტურის შემდეგ „მაღაროელი" — „გაგრაა" და ბევრი რამ აქ უნდა გადაწყდეს. ეს თამაში რომ არ ჩავთვალოთ, გაგრელებს ხელსაყრელი კალენდარი აქვთ, თუმც ამათ ერთი ქულით უსწრებს აგარის „მეშაქრე" — გუნდი, რომელიც შარშან სწორედ პლეი ოფში „თბილისთან" წაგების გამო ვერ ეღირსა უმაღლესის ვიზას.

**ილია ნანობაშვილი**

# ქასრაშვილი ფიქრობს, გადაიფიქროს თუ არა



**საჩხერის** „ჩიხურას" დატოვება მწვრთნელ ხვიჩა ქასრაშვილს პირველი წრის შემდეგ უნდოდა, მაგრამ მაშინ კლუბის ხელმძღვანელობამ გადააფიქრებინა. „ჩიხურამ" ჩემპიონატის ბოლო ტურში „ვიტ ჯორჯიასთან" 0:1 წააგო და განაწყენებული ქასრაშვილი ისევ წასვლაზე ფიქრობს...

საჩხერელების ფინანსური მდგომარეობა მეორე წრეში კი გართულდა, თუმცა „ჩიხურას" უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება უნდა. ისედაც გაჭირვებაში მყოფ გუნდს მწვრთნელიც თუ გაექცა, პირველ ლიგას ერთობ მიუახლოვდება.

ქასრაშვილის წასვლა-დარჩენის ამბავი „ჩიხურას" უფროს ბადრი ბრეგვაძეს ვკითხეთ: „ამჟამად ქასრაშვილი გუნდთან ერთად არ არის, მაგრამ ვცდილობთ, ისევ გადავაფიქრებინოთ წასვლა. იგი სეზონის ბოლომდე ალბათ ჩვენთან დარჩება და დასახულ მიზანსაც ერთად მივაღწევთ".

**ნუკრი ლოლაძე**



# აკაკი ხუბუტია: იქ გამიშვეს, სადაც არ მინდოდა

## გეგმაში გერმანიაა

**საქართველოს** ახალგაზრდული ნაკრების ცენტრალური მცველი აკაკი ხუბუტია კვლავ „კაუნასს" ეკუთვნის და ლიტვის უმაღლესი ლიგის „შილუტეშია" განათხოვრებული. სეზონის წინ კაუნასელებს ხუბუტიასი ეიმედებოდათ, ტესტ-მატჩებშიც თითქმის მუდმივად ათამაშებდნენ და რა მოხდა შემდეგ, ამაზე სწორედ აკაკის შევეკითხეთ...

„სამწუხაროდ, „კაუნასის" ბელარუსმა მწვრთნელმა ამითვალწუნა. მიზეზებს ეძებდა და მერე მივხვდი, რატომ: ჩემს პოზიციაზე ბელარუსი მცველი მოიყვანა. „შილუტეში" წასვლა არ მინდოდა, მით უმეტეს, ლიტვის შარშანწინდელი ჩემპიონი „ეკრანასი", „ალგირისი" და „ვილნიუსი" მიწვევდნენ, მაგრამ „კაუნასმა" კონკურენტ გუნდში არ გამანათხოვრა."

ხუბუტია ძირითადში კი თამაშობს, მაგრამ „შილუტე" ძალიან სუსტი გუნდია და ჩვენიანსაც ერთი სული აქვს, როდის გავა განათხოვრების ვადა...

„ადრეც ვიყავი „შილუტეში" განათხოვრებული, მაგრამ მაშინ კარგი გუნდი გვყავდა, ოთხეულისთვის ვიბრძოდით. ახლა კი სულ ახალგაზრდები ვართ, გუნდს გამოცდილება აკლია და წაგებებიც ამის ბრალია".

აკაკიმ გვითხრა, „კაუნასი" ჩემ გაყიდვას არ თანხმდება, კონტრაქტი კი კიდევ ორი წლით მაქვსო.

„მათ ლიტვურ გუნდში არ სურთ ჩემი გაყიდვა, თორემ, მაგალითად, გერმანული ვარიანტი თუ გამოჩნდა, სხვა საქმეა. საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელმა პეტარ სეგრტმა დამირეკა, გამამხნევა და მითხრა, მართალია, 5 ივნისს ესპანეთთან მატჩში დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებ, მაგრამ მომდევნო შესარჩევი თამაშებისთვის მოემზადეო."

რაც შეეხება გერმანულ ვარიანტს, ხუბუტიამ გვითხრა, არ არის გამორიცხული, ნაკრების მწვრთნელების რეკომენდაციით მეორე ბუნდესლიგის გუნდში გადავიდეს, მაგრამ კონკრეტული ჯერჯერობით არაფერიაო.

**ილია ნანობაშვილი**

# არველაძის ქრონიკული პასაჟი: წამლები, ნემსები, მასაჟი, მასაჟი...

## რატომ ვერ იქნება შოთა დენი ბლინდი











ალკმაარის AZ ჰოლანდიის ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში წამოსკუპდა ცხრილის მწვერვალზე, მაგრამ ბოლო ტურში ბოლოსწინა ადგილზე მყოფ როტერდამის „ექსელსიორთან“ 2:3 წაგო — ჩემპიონი ეინდჰოვენის პსვ გახდა, რომელსაც „ალკმაარზე“ ოთხჯერ მეტი წლიური ბიუჯეტი აქვს და ალბათ უკეთესი ფეხბურთელებიც ჰყავს.

„ალკმაარს“ კი ჰყავს ლუის ვან გაალი, მუშა და სწორხაზოვანი ფეხბურთელები, კიდევ კაპიტანი შოთა არველაძე და ღონიერი ფორვარდი დენი კოვერმანსი — ვან გაალი, არველაძე და კოვერმანსი — გუნდის სვებედი ყველაზე უფრო ამ სამეულზე იყო დამოკიდებული.

„ექსელსიორთან“ გადამწყვეტი თამაში იყო, ასეთ დროს კლასიანი ფეხბურთელი ერთიორად ფასობს, რადგან გადამწყვეტ თამაში ჩვეულებრივი დოლი არ არის. ვან გაალმა სასტარტოში არ გაამწესა კოვერმანსი, ვინც ამ სეზონში გუნდის საუკეთესო მეგოლეა ერედივიზიონში. კოვერმანსი ბოლო მატჩებში ჩვეულად ვერ ჩაუქობდა და „ექსელსიორთანაც“ ამად ვერ ენდო მწვრთნელი პირველივე წუთებიდან.

...შოთას ქრონიკულად მტკივანმა მუხლმა მარტის ბოლოდან კიდევ უფრო მწვავედ შეუტია. 24 მარტის შოტლანდიასთან სანაკრებო მატჩამდე ორი დღით ადრე არველაძეს და ზურაბ ხიზანიშვილს სასტუმროს ნომერში ავაკითხე. დაახლოებით ერთი საათი დავყავი მათთან. ღამის თორმეტი მიიწურა და ნაკრების მასაჟისტი ისევ ამუშავებდა არველაძის მარჯვენა მუხლს.

მეორე დღეს შოთამ „ჰემპდენზე“ არ ივარჯიშა. შოტლანდიასთან მატჩში კი გოლით გამოირჩა, მაგრამ ნაკრებიდან წასვლაზე ძალიან სერიოზულად დაფიქრდა — ასაკი და ქრონიკული ტრავმა, აქეთ კლუბი, იქით ნაკრები, სულ წამლები, გამაყუჩებლები და მასაჟები — 34 წლის ფეხბურთელისთვის ეს მართლაც მეტისმეტია.

ჰოლანდიის ჩემპიონობა მისთვის დიდი სტიმული იქნებოდა, თამაში გაეგრძელებინა „ალკმაარშიც“ და ნაკრებშიც. უეფას თასის ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მეგოლეს ჩემპიონთა ლიგაში ერთი გოლიც არ გაუტანია და საამისოდ ბოლო შანსი მისთვის ალბათ უმნიშვნელოვანესი იქნებოდა — ის ხომ საკმაოდ ამბიციური და ჟინიანია.

ეს შანსი კი შოთას, ვინძლო, ხელიდან გაუფრინდა. პირველი ტაიმი ახალი დაწყებული იყო, მარცხენა ფლანგიდან რომ მოუვიდა ბურთი, ცაციათი დაარტყა და „ექსელსიორის“ მეკარემ ფეხით აუღო — დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, მარჯვენა ფეხი, რომელიც საყრდენია ასეთ დროს, შოთამ კარგად ვერ გაამაგრა და დარტყმაც არ გამოუვიდა ძლიერი და აუღებელი — ფორვარდს ხომ ან იღბალი ალალატებს, ან კლასი, ან ტრავმა.

ამის მერე კი „ალკმაარს“ მეკარე გაუძევეს და პირველი გოლიც გაუტანეს პენალტით. AZ-მ პირველ ტაიმშივე გაათანაბრა, მეორიდან კი ვან გაალმა მოედანზე კოვერმანსი შეუშვა, ხოლო შოთამ მარჯვენა ინსაიდის ადგილი დაიკავა.

„ალკმაარმა“ კიდევ გაუშვა გოლი, მერე ჯანმაგარმა კოვერმანსმა კარგად იჭიდავა „ექსელსიორის“ საჯარიმოში და გამთანაბრებელიც შეაგდო. შოთა უკან იხევდა და რამდენჯერმე აზრიანი კომბინაცია წამოიწყო. მატჩის ბოლოს „ექსელსიორიც“ ათი კაცით დარჩა, მაგრამ „ალკმაარს“ მესამე გოლის გასატანად ჯანი აღარ შერჩა, იქით გაუშვა ბურთი და ჩემპიონობასაც დაემშვიდობა. „წაგების მთავარი მიზეზი ისაა, რომ გოლი გავუშვით და თან კაცნაკლულნი დავრჩით. გაძევებას მყისვე გოლი რომ არ მოჰყოლოდა, ეს მნიშვნელოვანი შეღავათი იქნებოდა იმასთან შედარებით, რაც მოხდა. კაცნაკლულნი ვცდილობდით ისეთი თამაშის მოგებას, რომელსაც ვაგებდით. ამან ძალიან დიდი ენერგია წაგვართვა“.

ფეხბურთში უსამართლობა არცთუ იშვიათია, თუმც ჰოლანდიის ჩემპიონი წლეულს პსვ რომ გახდა და არა „ალკმაარი“, ეს ალბათ დიდი უსამართლობა არ უნდა იყოს. შოთას კი ყოველივე ამაზე საკუთარი აზრი აქვს.

„ბოლო ტურამდე ჩვენ და პსვ-ს თანაბარი ქულები გვქონდა, ბურთების სხვაობით კი ეინდჰოვენელებს ბოლო ტურის შემდეგაც ვჯობივართ, თუმც ისიცაა, რომ პსვ თითქმის მთელი ჩემპიონატი პირველ ადგილზე იყო. ეინდჰოვენელებს უფრო გამოცდილი ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ არავისზე ნაკლები სანახაობრივი ფეხბურთი არ გვიჩვენებია. ბოლო ტურში კი უნამუსოდ არ გაგვიმართლა“.

გამოცდილება ერთია, მაგრამ კლასიც ალბათ მეტი აქვს პსვ-ს „ალკმაარზე“. ვან გაალის გუნდში შოთას გარდა არავინაა, რაიმე ორიგინალური მოახერხოს, რაღაც ისეთი მოიგონოს, რასაც მეტოქე არ ელის.

„უკეთესი მოთამაშეების ყოლა არ არის იმის ერთადერთი პირობა, სხვა გუნდს აუცილებლად მოუგო, ასე რომ იყოს, „ბარსელონა“ და „რეალი“ ყოველთვის ყველაფერს მოიგებდნენ, მაგრამ ფეხბურთში ასე არ ხდება“ — გვითხრა არველაძემ.

შოთას „ექსელსიორთან“ თამაშიდან რამდენიმე საათში დავურეკე, მაგრამ მაშინ ინტერვიუ არ გამოვიდა, მას, უბრალოდ, არ ჰქონდა საინტერვიუ განწყობა და ენერგია — მან ჩემპიონთა ლიგაში თამაშის ბოლო შანსი ძალიან შეიმცირა, ერთადერთ ტურნირში, სადაც უთამაშია და გოლი არ გაუტანია.

ერედივიზიონში მესამე ადგილზე გასული „ალკმაარი“ 9 მაისიდან ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოსაპოვებლად პლეი ოფში ჩაებმება. ალკმაარელთა პირველი მეტოქე ენსხედეს „ტვენტეა“. თუ AZ ამ ბარიერს გადალახავს, მერე „აიაქს“ — „ჰერენვენს“ შორის გამარჯვებულთან მოუწევს ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა. თუ ყველაფერი ასე წარიმართა, „ალკმაარი“ სეზონს მაისის ბოლოს ჩაამთავრებს.

„სეზონის დასრულების შემდეგ კარგად უნდა დავისვენო. მანამდე ვერ მივიღებ გადაწყვეტილებას, დავანებო თუ არა ფეხბურთელობას თავი. პლეი ოფამდე კი ჰოლანდიის თასის ფინალი გვაქვს 6 მაისს „აიაქსთან“.

ვფიქრობ, შოთა რაღაცით ჰგავს „აიაქსის“ ყოფილ კაპიტან დენი ბლინდს. ერთი სეზონიც და წავალ — ბლინდს ეს რამდენჯერმე უთქვამს და ფეხბურთელის კარიერა რომ დაასრულა, 38 წლის იყო. თუმც ბლინდს არ აწუხებდა ქრონიკული ტრავმა...

**დავით თავართქილაძე**



# კრივოი: კონტრა

## პროტასოვს პროკოსევიჩები არ უნდა, ლადოს დუბლები უნდა

**ბოლო ხანს კრივოი როგის „კრივბასის“ ძირითადში იშვიათად ჩნდება საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი ვლადიმერ ბურდული. შაბათს „კრივბასი“ სტუმრად 1:2 დამარცხდა დონეცკის „მეტალურგთან“ და ჩვენებური განაცხადშიც არ ყოფილა, მიზეზი კი ოთხთავა კუნთის ტრავმაა. ბურდულს გუშინ შევეხმიანეთ, გვინდოდა, ტრავმის თაობაზე გვეკითხა, მაგრამ ბევრი სხვა საინტერესო ამბავიც შევიტყვეთ...**

— ტრავმა სერიოზული არ არის. სამ დღეში დავიწყებ ვარჯიშს, მაგრამ ვითამაშებ თუ არა დარჩენილ ტურებში, ვერ გეტყვით.

— რატომ?

— „კრივბასმა“ კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზა, მაგრამ პირობები არ მომეწონა და არ დავთანხმდი. ამის გამო ძირითადიდანაც ამომაგდეს და შესაძლოა, არც შეცვლებზე მათამაშონ.

— რას აპირებ, არავის დალაპარაკებიხარ?

— სათამაშო პრაქტიკა აუცილებლად მჭირდება. ჩემპიონატის დასრულებამდე აღარაფერი რჩება და მინდა, ოლეგ პროტასოვს ვთხოვო, რომ დუბლებში მაინც მათამაშოს. სანაკრებო მატჩები ახლოვდება და არ მინდა, უთამაშებელი ჩამოვიდე საქართველოში.

— „მეტალურგთან“ ვასილ გიგიაძეც შეცვლაზე შევიდა, ამის მიზეზი რაღა იყო?

— პროტასოვმა წინა მწვრთნელის, ალექსანდრ კოსევიჩის ხალხი აითვალწუნა. ვასო სკამზე დასვა, საჩკო და ბაყანი საერთოდ არ ჩაიყვანა დონეცკში, მოკლედ, სიტუაცია აირია.

— კონტრაქტს აღარ ვაგრძელებო, თქვი. ახალი კლუბი ხომ არ შეგიგულებია?

— რამდენიმე ვარიანტი მაქვს. სამი-ოთხი კლუბი უკრაინულია, სამი გერმანული, ერთიც რუსული, რომელიც უკეთესი ვარიანტი იქნება, იმას ავირჩევ.

**მიხეილ ჟორჟოლიანი**

ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვას
წარმოგიდგენთ VEGA SLOT

# ჩემპიონთა ლიგა 2006–2007
## ნახევარფინალი. საპასუხო მატჩი. დღეს

ლივერპული. „ენფილდ როუდი“. 22:45 საათი

**ლივერპული (ინგლისი) — ჩელსი (ინგლისი) (0:1)**

სავარაუდო შემადგენლობები:

ლივერპული: რეინა — ფინანი, კარაგერი, აგერი, არბელოა — ჯერარდი, ხაბი ალონსო, მასკერანო, რიისე — კრაუჩი, კუიტი

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ჩელსი: ჩეხი — პ. ფერეირა, ესიენი, ტერი, ე. კოული — მიკელი, მაკელელე, ლამპარდი, ჯ. კოული — შევჩენკო, დროგბა

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

მსაჯი: მანუელ ენრიკე მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

დისკვალიფიცირებულნი:

ლივერპული: არავინ; ჩელსი: არავინ

ევროპული ურთიერთშეხვედრები:

| | | |
|---|---|---|
| 27.04.2005 | ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი | ჩელსი 0:0 ლივერპული |
| 03.05.2005 | ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი | ლივერპული 1:0 ჩელსი |
| 28.09.2005 | ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფი | ლივერპული 0:0 ჩელსი |
| 06.12.2005 | ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფი | ჩელსი 0:0 ლივერპული |
| 25.04.2007 | ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი | ჩელსი 1:0 ლივერპული |



„ჩელსი“ ლივერპულში ჯო კოულის გოლით ჩავიდა

# დაცინვას ჟოზე არ მოუკლავს

**რაფაელ ბენიტესმა** თქვა, ჟოზე მაურინიუ წყალში გადაყრის რომან აბრამოვიჩის ფულს, თუ „ჩელსი“ ჩემპიონთა თასს ვერ მოიგებსო.

ესპანელმა ასე დასცინა პორტუგალიელ კოლეგას: „მილიონები დახარჯეს და ერთ ევროპულ ჯილდოსაც ვერ ეღირსნენ. წლეულსაც რომ ჩაფლავდნენ, „ჩელსის“ და მის მწვრთნელს შავი დღე დაადგებათ. ფავორიტებად მათ ვთვლი, რადგან გადახედეთ ჩელსელი ფეხბურთელების ფასებს — მათთან შედარებით ჩვენ ლატაკნი ვართ. ჰოდა, როცა ასეთ გუნდს ვეთამაშებით, მშვიდად უნდა ვიყოთ. თუ ვაჯობებთ და ფინალში გავალთ, ხომ გადასარევი იქნება, მარცხის შემთხვევაში კი არავინ დაგვძრახავს“.

ერთი კვირის წინანდელი მატჩის შემდეგ ჟოზე მაურინიუმ განაცხადა, „ლივერპულს“ „პორტსმუთთან“ უმნიშვნელო თამაში ელის და, დარწმუნებული ვარ, ბენიტესი ბიჭებს დაასვენებს ჩვენთან საპასუხო შეხვედრისთვისო. ესპანელმა შეიცხადა, არავის დასვენებას არ ვაპირებო, მაგრამ იცრუა. „პორტსმუთთან“ ისეთი შემადგენლობა გაიყვანა, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს „ლივერპულის“ ფანებიც ვერ სცნობდნენ. დასვენებული სტივენ ჯერარდი, ჯეიმი კარაგერი, იონ არნე რიისე, ხავიერ მასკერანო, მეკარე პეპე რეინა და დანიელ აგერი უფრო სალად იქნებიან და ეს მცირე უპირატესობად შეიძლება ჩავთვალოთ.

შაბათსვე, როცა ზემოთ ჩამოთვლილი ლივერპულელი ბიჭები მხართეძოზე იყვნენ წამოწოლილნი, „ჩელსი“ „ბოლტონს“ შეასკდა და ვერ მოუგო, რის გამოც „მანჩესტერს“ უკვე ხუთი ქულით ჩამორჩება და საჩემპიონო შანსიც შეუმცირდა. ამას ისიც დაერთო, რომ 29-ე წუთზე რიკარდუ კარვალიუ დაშავდა და ფრენკ ლამპარდმა შეცვალა. მაურინიუმ მთავარი ფეხბურთელები ვერ დაასვენა, რადგან აუცილებლად მოგება სჭირდებოდა და მეორე ტაიმში ჯო კოული და დიდიე დროგბაც შეუშვა, მაგრამ მაინც ვერ იმარჯვეს.

„ძალიან გულდაწყვეტილი ვარ — თქვა მაურინიუმ ნამატჩევს — მაგრამ „ლივერპულთან“ დიდი თამაში გველის და არ მინდა, მის შემდეგაც გულდაწყვეტილი ვიყო. ცხადია, „ბოლტონთან“ რომ მოგვეგო, ფსიქოლოგიურად ბევრად უკეთესად ვიქნებოდით. მაგალითად, ორი წლის წინ, როცა „ლივერპულთან“ ნახევარფინალში დავმარცხდით, მერე პრემიერლიგაში „ბოლტონს“ მოვუგეთ და ჩემპიონები გავხდით. ახლა პირიქითაა — სემ ალარდაისის გუნდს ვერ ვძლიეთ და ეგებ ეს ნიშანი იყოს იმისა, რომ „ლივერპულს“ ვაჯობოთ და ფინალში გავიდეთ. ჩემს ფეხბურთელებს კვლავაც შეუძლიათ, დაამტკიცონ თავიანთი ძალა და ისტორიაში პირველად „ჩელსი“ ფინალში გაიყვანონ. „ბოლტონთან“ თამაშის შემდეგ ბიჭებს ველაპარაკე და შევახსენე, ვინ ვართ და რა შეგვიძლია. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ რიკარდუ კარვალიუ დაშავდა. ის ჩვენი საუკეთესო მცველი იყო მთელი სეზონის განმავლობაში. სწორედ მის გარეშე ვეთამაშეთ პრემიერლიგაში სტუმრად „ლივერპულს“ და 0:2 წავაგეთ“.

რაფაელ ბენიტესმა კარვალიუს ამბავი რომ გაიგო, თქვა: „მაურინიუ ერთი კვირის წინაც ბევრს ლაპარაკობდა და წუწუნებდა ტრავმებზე. მირჩევნია, დღეს თამაშამდე ჩავხედო მისი გუნდის განაცხადს, ვიდრე პორტუგალიელის ლაპარაკს ვუსმინო“.

რიკარდუ კარვალიუს დაცვის ცენტრში მიკაელ ესიენი შეცვლის, რომელიც ამ პოზიციას ზამთარში ჯონ ტერის ტრავმის გამო შეეჩვია. ნახევარდაცვაში არ იქნება მიხაელ ბალაკი, რომელმაც პარასკევს გერმანიაში ოპერაცია გაიკეთა და ამბობენ, ჟოზე მაურინიუ გაცოფებულიაო, რადგან ფეხბურთელი კლუბის ნებართვის გარეშე დაუწვა ქირურგებს.

იონ არნე რიისე კი თანაგუნდელებს მოთმინებისკენ მოუწოდებს: „პირველ მატჩში ბევრი საგოლე მომენტი ვერ შევქმენით, მაგრამ ახლა მასპინძლები ვართ და, დარწმუნებული ვარ, უკეთესად ვითამაშებთ. ძალიან მნიშვნელოვანია მოთმინება და სიფრთხილე. კარგი დასაწყისი და გოლის სწრაფად გატანა გვჭირდება“.

გულშემატკივრებისა ეიმედება ყოფილ ჩელსელ ბუდევეინ ზენდენსაც: „მჯერა, რომ „ენფილდი“ ადუღდება, ფანტასტიკური ატმოსფერო იქნება და მეტოქის ზოგიერთი ფეხბურთელი ეგებ დაითრგუნოს კიდეც. ჩვენ გვინდა მხურვალე ქომაგობა და აუცილებლად მოვიგებთ. რაკი „მანჩესტერს“ უკვე ხუთი ქულით ჩამორჩება, „ჩელსი“ მთელ ყურადღებას დღევანდელ მატჩზე გადმოიტანს, მაგრამ „ლივერპულს“ შეუძლია, ისევე კარგად ითამაშოს, როგორც, მაგალითად, „კამპ ნოუზე“, როცა „ბარსელონას“ ვძლიეთ“.

ჩელსელ მეკარე პეტრ ჩეხს მიაჩნია, რო... მის გუნდს კვლავაც აქვს პრემიერლიგი... მოგების შანსი, მაგრამ ამჟამად მთავარი „ლი... ვერპულია“...

„ამ კვირაში ორი დიდი მატჩი გველი... ჯერ „ლივერპულთან“, მერე კი ჩემპიონა... ტში „არსენალთან“, თუმც დღევანდელი თა... მაში სეზონში უმთავრესია. ფინალამდე ხო... ერთი ნაბიჯი გვაშორებს“.

„ენფილდზე“ კი ის კაცი იმსაჯებს, რომლ... ის სტვენითაც რაფაელ ბენიტესის გუნდმ... ორი წლის წინ ჩემპიონთა თასის დრამატულ... ფინალში „მილანს“ მოუგო. ეს გახლავთ ეს... პანელი მანუელ მეხუტო გონსალესი და საი... ნტერესო კიდევ ისაა, რომ უეფას დელეგატ... ამ მატჩში პიერლუიჯი კოლინა იქნება.

გონსალესმა 2005-ში „ბაიერნი“ — „ჩე... ლსის“ მეოთხედფინალურ შეხვედრაში იმ... საჯა და მაშინ ჟოზე მაურინიუს გუნდი 2:... დამარცხდა.

მაშ ასე, დღეს ჩემპიონთა ლიგის პირვე... ლი ფინალისტი გაირკვევა. ამ თასის ექვსგ... ზის ფინალისტი და ხუთგზის მომგები „ლი... ვერპული“ ორი წლის წინანდელის გამეო... რებას ეცდება, რომან აბრამოვიჩის ფულით... გაკეთებული „ჩელსი“ კი აქამდე არასოდე... ყოფილა ფინალში და ზედიზედ ორჯერ პრე... მიერლიგის მოგების შემდეგ მთავარი ევ... როთასისკენ მიიწევს.

შარშან „არსენალი“ გახდა პირველი ლონ... დონური კლუბი, რომელმაც ჩემპიონთა თასი... ფინალში გააღწია. გახდება „ჩელსი“ მეორე...

**ვაჟა ხუციშვილ...**





AFP

# ახალი პორტუგალიური სერიალი ინგლისში





## ჟოზე მაურინიუ: კრიშტიანუ რონალდუს უზრდელობა გაუნათლებლობის და მძიმე ბავშვობის ბრალია!

**გაუნათლებელიაო!** როგორია? ეს ჟოზე მაურინიუმ „მანჩესტერ იუნაიტედში“ მოთამაშე თანამემამულეზე, კრიშტიანუ რონალდუზე თქვა.

მოგეხსენებათ, „ჩელსის“ მწვრთნელი და „იუნაიტედის“ ვარსკვლავი პორტუგალიელები არიან, „ჩელსი“ და „იუნაიტედი“ კი კონკურენტები. ეს ორი გუნდი ერთმანეთს ინგლისის ჩემპიონის ტიტულს, ფეხბურთის ასოციაციის თასს და, თეორიულად, ჩემპიონთა ლიგის ტიტულსაც ეცილება, თუმცა მას მერე, რაც შაბათს ლონდონელებმა „ბოლტონთან“ 2:2 ითამაშეს, მათი საჩემპიონო შანსები მნიშვნელოვნად შემცირდა.

თუმცა პრემიერლიგის ცხრილის მიმოხილვას თავი დავანებოთ და მაურინიუსა და რონალდუს სიტყვაპასუხზე ვილაპარაკოთ.

ყველაფერი, მოგეხსენებათ, იმით დაიწყო, რომ მაურინიუმ წინა ტურის შემდეგ მწარედ თქვა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ახალი წესები აქვს, „მანჩესტერ იუნაიტედისა“ და ჩვენი მეტოქეების კარში პენალტები აღარ ინიშნებაო. კონკურენტი გუნდის მწვრთნელს ამაზე პასუხი, რატომღაც, კრიშტიანუ რონალდუმ გასცა — სხვათა შორის, ყურადღება მთელმა ინგლისმა სწორედ ამაზე გაამახვილა: „ჩელსის“ მწვრთნელს „იუნაიტედის“ მწვრთნელი კი არ შეეპასუხა, არამედ ფეხბურთელი.

მოკლედ, პატარა პორტუგალიელმა დიდ პორტუგალიელზე თქვა, რომ მან საკუთარი შეცდომების აღიარება არ იცის და ისე როგორ იქნებოდა, დიდს პასუხის პასუხი არ გაეშანშალებინა. თავიდან ხომ თქვა, ეგ კრიშტიანუ რონალდუ მატყუარაა და თუ მსოფლიოში საუკეთესოობა უნდა, ტყუილებს თავი უნდა [illegible] განავითაროს:

„ბავშვმა რაღაც თქვა, თან ისე, რომ ზრდილობა და უფროსის პატივისცემა, ვერ გამოავლინა. ალბათ, ყველაფერი გაუნათლებლობის და მძიმე ბავშვობის ბრალია. გაუნათლებლობა ძალიან ცუდია და მეც ამიტომ გადავწყვიტე, პასუხი გამეცა“.

სერ ალექს ფერგიუსონმა კი ჟოზე მაურინიუს ამღენსიტყვაობას მოკლე კომენტარი გაუკეთა (თუ ეს, საერთოდ, კომენტარია), აჭარბებსო...

და ისევ მაურინიუ: „სერ ალექსმა, უბრალოდ, ჩათვალა, რომ თავისი ბიჭი უნდა დაიცვას. მე პრობლემები არც სერ ალექსთან მაქვს და არც ბიჭთან. პირიქით, სერ ალექსი ძალიან მომწონს და მართალია, ის ჩემს ქვეშ მიწას თხრის, ვიცი, რომ ამაში პირადული და უპატიოსნო არაფერია“.

**პაპუნა ძიძია**



სემ ალარდაისმა ბოლტონური ტვირთი მოიხსნა



სემი ლი

# მოდი ჩემთან, გიჟო!

## ტერიმ ლამპარდს სხვა თვალით შეხედა

**რას** არ წაიკითხავ ინტერნეტში, განსაკუთრებით, რუსულ ვებგვერდებზე.

მაგალითად, ასე: „ჩელსის“ კაპიტანმა ჯონ ტერიმ ბრიტანელ ჟურნალისტთა შეკითხვაზე უპასუხა, რომ მის გუნდში ყველაზე სიმპათიური ფრენკ ლამპარდია.

„მე რომ მამათმავალი ვყოფილიყავი, ლამპარდს გავეპრანჭებოდი“ — უთქვამს ტერის.

თურმე იგივე კითხვა ლამპარდსაც დაუსვეს, ოღონდ მან საბრალო ტერი დაიწუნა.

„ჩვენ რამდენიმე უმახინჯესი ფეხბურთელი გვყავს, კარლო კუდიჩინი კი სიმპათიურია“ — უთქვამს ლამპარდს.

მოდი და გაიგე, ბიჭებმა ერთმანეთი აშაყირეს, ეს ყველაფერი ტყუილია თუ...

**პაპუნა ძიძია**



ფრენკ ლამპარდი და ჯონ ტერი

# დიდი სემი წავიდა, პატარა სემი მოვიდა

**„ჩელსისთან“** „სტემფორდ ბრიჯზე“ შაბათს ნათამაშები ფრე, რომელმაც, შესაძლოა, მიმდინარე პრემიერლიგის საჩემპიონო რბოლის ბედი „მანჩესტერ იუნაიტედის“ სასარგებლოდ გადაწყვიტოს, ბოლო მატჩი გამოდგა სემ ალარდაისისთვის „ბოლტონის“ მთავარი მწვრთნელის რანგში. რაოდენ სამწუხაროც უნდა იყოს „რიბოკის“ ბინადრებისა თუ მათი ფანებისთვის, ალარდაისმა პოსტი თავისი ნებით დატოვა, რისი მიზეზიც არ უთქვამს.

„დიდმა სემმა“ „ბოლტონი“ 1999 წელს ჩაიბარა და მალევე პრემიერლიგის ერთ-ერთ საკმაოდ სოლიდურ წევრად აქცია კლუბი. 52 წლის სპეციალისტმა გუნდში დიდი სამუშაო გასწია და ფანების სიყვარულიც უმალ მოიპოვა.

ცოტა ხნის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რეი მენსონს, რომელსაც „მანჩესტერ სიტის“ შეძენა აქვს გადაწყვეტილი, მწვრთნელად სწორედ ალარდაისი უნდა და მხარეებს შორის უკვე წინასწარი შეთანხმებაც მიღწეულიაო. მართალია, მაშინ ეს ცნობა ორივე მხარემ უარყო, მაგრამ...

„კლუბში გატარებული რვა წლის შემდეგ, ხანგრძლივი ფიქრისა და ორჭოფობის, გუნდის ხელმძღვანელობასა და ოჯახის წევრებთან საუბრის მერე, გადავწყვიტე, გადავდგე. ჯობდა, ახლავე წავსულიყავი, ვიდრე სეზონის ბოლოს, რათა ჩემს შემცვლელს გარკვეული დრო ჰქონდეს აქაურ გარემოსთან შესაგუებლად. „ბოლტონი“ ჩემი სულიერი სახლი გახლდათ ბოლო 18 წლის განმავლობაში, როგორც ფეხბურთელისა და მწვრთნელის რანგში და აქაურობის დატოვება ერთ-ერთი ურთულესი გადაწყვეტილება იყო ჩემს ცხოვრებაში. ასეა თუ ისე, გუნდი ახლა მყარად დგას ფეხზე და ევროტურნირის საგზურის მოპოვებასთან ახლოსაა. ეს ყველაფერი კი თავდაუზოგავი შრომის შედეგია, რომელიც წინა წლებში ჩავატარეთ. ვგრძნობ, რომ სწორედ ახლაა გადადგომის დრო და უნდა შევეგებოთ „ბოლტონის“ ახალ ეპოქას, ახალი მწვრთნელის ხელში. კლუბის მფლობელს, თავმჯდომარეს, მთლიანად ხელმძღვანელობას, ფეხბურთელებსა და, რაც მთავარია, ფანებს ყოველივე საუკეთესოსა და დიდ წარმატებას ვუსურვებ“ — განაცხადა ალარდაისმა.

გუშინ კი გადაწყდა, რომ „ბოლტონს“ ალარდაისის თანაშემწე სემი ლი უხელმძღვანელებს.

„სულ რაღაც ერთი წამი დამჭირდა ამ შემოთავაზებაზე დასათანხმებლად“ — უთხრა ლიმ სააგენტო „როიტერს“.

**გიორგი ძაძამიძე**

## ლივერპულიც გაერია

**„ლივერპული“** მიკ რიჩარდსისთვის ბრძოლაში ჩაერთო. „მანჩესტერ სიტისა“ და ინგლისის ნაკრების 18 წლის მცველი ზამთარში „ჩელსის“ უნდოდა, მაგრამ სიტელებმა 20 მილიონი გირვანქა მოითხოვეს და მყიდველი დააფრთხეს.

THE PEOPLE კი წერს, რომ ამ ზაფხულს „ლივერპული“ „სიტის“ 15 მილიონს და რამდენიმე ფეხბურთელს შესთავაზებს.

რიჩარდსით დაინტერესებულნი არიან „მანჩესტერიც“ და „ტოტენჰემიც“.

## ეტოოს ანრი ყიდულობს

**ესპანური** „ელ მუნდო დეპორტივოს“ ცნობით, ლონდონის „არსენალი“ სამუელ ეტოოს გადაბირებას ეცდება — „მეთოფეები“ „ბარსელონას“ ფულსაც გადაუხდიან და ფეხბურთელებსაც დაუმატებენ.

არსენ ვენგერს ძალიან უნდა კამერუნელის ყიდვა, რომელიც ტიერი ანრისთან მეგობრობს. თვითონ ანრიც იტყვის ალბათ სიტყვას ამ ტრანსფერში და ვენგერსაც დახმარება აღუთქვა.

სამუელ ეტოოს მყიდველთა რიგი უდგას. მათ შორის არიან „ჩელსი“, „ინტერი“ და სხვა ევრობობოლა კლუბები. კამერუნელის ფასი დაახლოებით 30 მილიონი გირვანქაა.

## იუვემ მანჩესტერს ორი სთხოვა

**„ტუტოსპორტის“** ცნობით, ტურინის „იუვენტუსმა“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ოფიციალურად მიმართა ნემანია ვიდიჩის და გაბრიელ ჰაინცეს ტრანსფერის თაობაზე. კლუბების წარმომადგენლები ერთმანეთს შეხვდნენ და ფეხბურთელებზე ილაპარაკეს. სერია A-სკენ მიმავალ „იუვეს“ დაცვის გაძლიერება სურს. ტურინელები ვიდიჩში 8 მილიონს, ხოლო ჰაინცეში 3 მილიონ 500 ათას გირვანქას სთავაზობენ მანჩესტერელებს.

## ნაცემი ბარტეზი უარზეა

**ქომაგებისგან** შეურაცხყოფილი ფაბიენ ბარტეზი „ნანტში“ დაბრუნებას უარობს. შაბათს „ნანტისა“ და „რენის“ მატჩში სტუმრებმა 2:0 იმარჯვეს და მასპინძლები ბოლო ადგილზე დატოვეს. ჩემპიონატის დასრულებამდე კი ოთხი ტურია და „ყვითლების“ გადარჩენის შანსი მცირეა. მატჩის შემდეგ ბარტეზს, რომელიც მანქანაში ჯდებოდა, გამწარებულ ქომაგთა ჯგუფი დაესხა თავს. აგინეს და მის მანქანიდან გადმოთრევას ლამობდნენ. მეკარე მოჩხუბრებს დაუსხლტა და მარსელში გაეშურა. ბარტეზის მეგობარმა თქვა, აღარ დაბრუნდებაო. ხოტორა იანვარში გადავიდა „ნანტში“ და 14 მატჩში 23 გოლი გაუშვა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჰითროუში ჩამოსვენების გრძელი ამბავი რატომ არ იცხოვრა შვედმა პარიზში?



**სვენ** გორან ერიკსონი ამბობს, რომ ინგლისში იგი დღემდე ძალიან უყვართ. თურმე, ინგლისელთა ნაკრების ყოფილმა შვედმა მწვრთნელმა, რომელსაც შარშან ივლისამდე კვირაში 38 462 გირვანქა ეძლეოდა, ამასწინათ ლონდონში რომ ჩავიდა, ქუჩაში მშვიდად ვერ გაიარა, ხალხი შემოეჯარა.

„ინგლისში ექვსი წელიწადი დავყავი, ამ ხნის განმავლობაში მთელი ქვეყანა მოვიარე, მაგრამ ერთი მრუდე ნათქვამი არ მომისმენია. ჩემს მიმართ ყოველთვის ყველა თავაზიანი იყო, თვით პორტუგალიასთან წაგების შემდეგაც კი. „ჰითროუს“ აეროპორტში ავტოგრაფი უამრავმა ადამიანმა მთხოვა. ბევრი მათგანი მეუბნებოდა, „ყოჩაღ, სვენ, შენი საქმე კარგად გააკეთე“.

შვედი, რომელიც გაზეთების პირველ გვერდებზე ხშირად საფეხბურთო კი არა, სასიყვარულო თავგადასავლების გამო ხვდებოდა, ინგლისის ნაკრების სათავეში ჩადგომის ამბავს დღეს ასე იგონებს:

„რომში „ლაციოს“ მწვრთნელად ვმუშაობდი, როდესაც ჩემთან ადამ კროისერი და დევიდ დინი ჩამოვიდნენ. მე მათ საიდუმლო ბინაში შევხვდი, სადაც ბევრი ვჭამეთ და მათ ინგლისის ნაკრების სათავეში ჩადგომა შემომთავაზეს. ხანი რომ გავიდა, რომში ჰოვარდ უილკინსონი ჩამობრძანდა და ინგლისურ ფეხბურთზე დამატებითი ინფორმაცია მომაწოდა. მაშინ მე მას ვკითხე: კარგია ინგლისის ნაკრების სათავეში ყოფნა? საუცხოოა, თუკი თავად პარიზში ცხოვრობ — მიპასუხა მან“.

შემდეგ ერიკსონმა მოიგონა, რომ შარშან ზაფხულს მსოფლიოს ჩემპიონატიდან გავარდნის შემდეგ მას ღამეები არ ეძინა...

„პირველი რამდენიმე ღამის განმავლობაში ვერ ვიძინებდი და მხოლოდ იმაზე ვფიქრობდი, თუ რა მოხდა იმ დღეს პორტუგალიასთან. არა, დეპრესიაში კი არ ვიყავი, უბრალოდ, სხვაზე ვერაფერზე ვფიქრობდი, თავში სულ ერთი და იგივე ტრიალებდა. „შით“, „შით“, „შით“, „შით“ — მე ხომ აქამდე ცხოვრებაში არავის მოვუხსნივარ. თუმცა, რაღაც მომენტში მივხვდი, რომ, რაც განვიცადე, საკმარისია და ცხოვრება ჩვეულებრივ უნდა განვაგრძო. მსოფლიოს ჩემპიონატზე უკეთ გვმართებდა გამოსვლა. ჩემპიონატის წინ მწამდა, რომ გაცილებით მეტი შეგვეძლო. მიუხედავად იმისა, რომ თავიდან კარგად ვერ ვთამაშობდით, ყოველ მომდევნო მატჩს უკეთესად ვატარებდით და აღმავლობის გზას ვადექით“.

შემდეგ ერიკსონმა თავისი კაპიტანი დევიდ ბექჰემი და ასისტენტი, ინგლისის ნაკრების დღევანდელი მწვრთნელი სტივ მაკლარენი დაიცვა...

„ბექჰემი ყველაზე სახელგანთქმული ინგლისელი ფეხბურთელი გახლდათ და მწამდა, რომ მან, როგორც კაპიტანმა, გუნდისთვის დიდი საქმე გააკეთა. სხვა საქმეა, რომ მას იაპონიაში ჩატარებულ შეკრებაზე ჯერ კიდევ აწუხებდა ტრავმა და თავს კარგად ვერც პორტუგალიაში გრძნობდა“.

**ბაჰუნა ძიდია**

# შურისმაძიებელი

## ბერბატოვი პრინციპის საქმეა, ტონი — დიდი ხელფასის



**„ტოტენჰემის“** ფორვარდი დიმიტარ ბერბატოვი „ჩელსის“ მთავარი სამიზნეა — წერს „დეილი მირორი“.

ჩელსელთა სპორტულმა დირექტორმა ფრენკ არნესენმა განაცხადა, რომ მისი კლუბი ბულგარელისთვის 25 მილიონ გირვანქასაც კი არ დაიშურებს. „ტოტენჰემმა“ თავდამსხმელში შარშან გერმანულ „ლევერკუზენს“ 11 მილიონი გადაუხადა და მისი გაყიდვის სურვილი არ აქვს, მაგრამ არნესენისთვის ეს ტრანსფერი პრინციპის ამბავია.

იგი თავის დროზე „ტოტენჰემში“ მუშაობდა და ორი წლის წინ „ჩელსიში“ მის გადასვლას სკანდალი მოჰყვა — „შპორებმა“ რომან აბრამოვიჩის კლუბს უჩივლეს და არნესენის სანაცვლოდ 5 მილიონი გირვანქა აართვეს. ამიტომაც ცდილობს ფრენკ არნესენი ბერბატოვის ყიდვით თავისებურ შურისძიებას.

იტალიური „ლა ნაციონეს“ ცნობით კი, „ჩელსი“ მიუნხენის „ბაიერნს“ და „ფიორენტინას“ შუაში ჩაუხტა და ლუკა ტონის წართმევას ლამობს.

შეგახსენებთ, რომ სამი დღის წინ გერმანულ მედიაში „ბაიერნში“ ტონის გადასვლაზე წერდნენ და ეს ტრანსფერი მომთავრებულადაც ჩათვალეს, მაგრამ მთლად ასე არ ყოფილა. „ჩელსი“ 15 მილიონ გირვანქას სთავაზობს „ფიორენტინას“, ფეხბურთელს კი ჯამაგირად 4 მილიონ 500 ათასს, ანუ უფრო მეტს, ვიდრე „ბაიერნი“ შეჰპირდა.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ბარსელონა: კაკა ჩვენც გვინდა!



**„ლა რეპუბლიკას“** ვერსიით, „ბარსელონა“ „მილანს“ კაკასთვის მიადგა. საუცხოოდ მოთამაშე ბრაზილიელს უკვე რა ხანია, დასდევს მადრიდის „რეალი“ და დაჭერობანა მთელი სეზონი გრძელდება. „რეალის“ პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა საიდან არ შემოუარა, მაგრამ სილვიო ბერლუსკონის კაკა ვერ დაათმობინა. ახლა კი საქმეში „ბარსელონაც“ ჩაერია და უნდა, რომ მოქიშპე მადრიდელებს ცხვირწინ ააცალოს ბიჭი.

თავის მხრივ, ბერლუსკონი რონალდინიოს არ ეშვება, მაგრამ მასაც ჯერჯერობით არაფერი გამოსდის. „ლა რეპუბლიკა“ ამტკიცებს, რომ ხუან ლაპორტა კაკას სანაცვლოდ რონალდინიოს დათმობს და ეგებ ეტოოც მიაყოლოსო. „რეალი“ კი „მილანს“ ბრაზილიელში ფაბიო კანავაროს, მაჰამადუ დიარას და რობინიოს სთავაზობს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ვალდესის მეორასე ჩადგომა

## ლევანტეშ იუბილე მშრალად გადაიხადა

**„ბარსელონას“** მეკარე ვიქტორ ვალდესს კვირას „ლევანტესთან“ (1:0) მატჩში „იუბილე“ ჰქონდა — კატალონიელთა ღირსება მეორასედ დაიცვა.

ვიქტორ ვალდესს „ბარსელონას“ მაისურით ჩატარებული მატჩების მხრივ კლუბის ლეგენდარულ მეკარეებამდე — სუბისარეტა (410 მატჩი), რამალეტსი (384) და სადურნი (331) — ჯერ ბევრი უკლია, მაგრამ იგი საკმაოდ ახალგაზრდაა.

„ბარსას“ 25 წლის კარის დარაჯს უკვე მოგებული აქვს ორი ჩემპიონობა, ორი სუპერთასი და ერთი ჩემპიონთა ლიგა. აქვს ლეგენდარული მეკარის, რიკარდო ზამორას სახელობის ჯილდოც. ვალდესს ეს პატივი 2004-05 წლების სეზონში ერგო.

**კოკი კანდელაკი**

## მარკესის ორკვირიანი

**კვირას,** „ლევანტესთან“ მატჩისწინა ვარჯიშზე „ბარსელონას“ მექსიკელი ლეგიონერი რაფაელ მარკესი დაშავდა და 15 დღე ველარ ითამაშებს — მას მარჯვენა ბარძაყის კუნთი დაეჭიმა.

## ნიჭიერის უარი

**„ბარსელონას“** ნიჭიერმა არგენტინელმა ლეო მესიმ „ევროსპორტთან“ საუბრისას განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში „ინტერში“ გადასვლას არ აპირებს: „ვიცი, რომ მასიმო მორატის ჩემი წაყვანა უნდა და ასეთი პატივი ჩემთვის საამაყოა, მაგრამ „ბარსელონადან“ არ მივდივარ. აქ თავს ბედნიერად ვგრძნობ და მინდა, კიდევ დიდხანს დავრჩე“.

## მამის ნაამბობი

**ხუან სებასტიან ვერონს** „პანათინაიკოსი“ ეპატიჟება. არგენტინელი ფეხბურთელის მამამ, რომელსაც 1970 წელს თავად უთამაშია ბერძნულ კლუბში, განაცხადა, რომ მის შვილს ოფიციალურად შესთავაზეს გადასვლა: „მე „პანათინაიკოსის“ წარმომადგენლებს ველაპარაკე და კიდევ ველი მათგან ზარს. ხუან სებასტიანი საბერძნეთში თამაშზე ალბათ უარს არ იტყვის. ამ ქვეყანაზე მასთან ბევრჯერ მისაუბრია და მითხრა, რომ თუ კვლავ ექნება ევროპაში დაბრუნების შანსი, მხოლოდ „პანათინაიკოსში“ ითამაშებს.“

## შვიდი უნდა მოვიშოროთ

**მოსკოვის** „ლოკომოტივი“ შვიდი ფეხბურთელის გაშვებას აპირებს. ამას წინათ გამართულ კრებაზე მწვრთნელმა ანატოლი ბიშოვეცმა პრეტენზიები წაუყენა მარატ იზმაილოვს, ალექსანდრ სამედოვს, სერგეი კუზნეცოვს, გარი ოკონორს, მარიან ჰადს, სელსინიოს და შაკერ ზუაგის. მწვრთნელი ძალიან უკმაყოფილოა და ამიტომაც სთხოვა პრეზიდენტ იური სიომინს ტრანსფერზე მათი დაყენება.

**ვაჟა ხუციშვილი**

# მითხარი, რა მანქანა გყავს და გეტყვი...

## რაიან გიგზი

ნახევარმცველი

დაიბადა 1973 წლის 29 ნოემბერს კარდიფში

სიმაღლე: 1,80 მეტრი

წონა: 68 კგ

კარიერა:

1990 წლიდან — „მანჩესტერ იუნაიტედი“

(502 მატჩი, 98 გოლი)

1991 წლიდან თამაშობს უელსის ნაკრებში

(62 მატჩი, 12 გოლი)





## BENTLEY GT

გამოშვების თარიღი: 2005 წელი

სიგრძე: 4,804 მეტრი

სიგანე: 1,916 მეტრი

სიმაღლე: 1,390 მეტრი

წონა: 2 385 კგ

ცილინდრი: 12

ძრავის კუბატურა: 5,9

ავტომატური გადაცემათა კოლოფი

სიჩქარე: 318 კმ/სთ

100 კმ/სთ-ს ავითარებს 4,8 წამში

ფასი: 145 000 დოლარი




მასიმო მორატი მეუღლე მილისთან ერთად

# დიდი ოჯახის ზეიმი

## ინტერის ჩემპიონობას იუვენტუსის სუნი უდის

AFP

**ჩემპიონობის** ოფიციალურად გაფორმების შემდეგ მილანის „ინტერმა“ კვირას პირველი მატჩი ჩაატარა შინ — „ნეროაძურიმ“ „ემპოლის“ 3:1 მოუგო.

ბუნებრივია, მატჩამდეც და მას მერეც „სან სიროზე“ დიდი ზეიმი იყო. ჩირაღები, ტრანსპარანტები, სიმღერები, დროშები... ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც ზეიმისთვის საჭიროა.

ინტერელები სტადიონზე ოჯახებით მივიდნენ. ფეხბურთელთა შვილებს „ნეროაძურის“ მაისურები ეცვათ და მამებთან ერთად უამრავი ფოტო გადაიღეს.

ფანები ფეხბურთელთა სახელებს სკანდირებდნენ, განსაკუთრებული მადლობა კი კლუბის პრეზიდენტ მასიმო მორატის გადაუხადეს, ერთხელაც სთხოვეს დარჩენა ლუიშ ფიგუს...

მოკლედ, დიდი ამბები იყო „სან სიროზე“...

მასიმო მორატი: „დიდი მადლობა ფანებს, რომლებიც დღეს შეუდარებელნი იყვნენ — მათ არავინ დავიწყებიათ. ყველას მიაგეს პატივი, ვისაც რაიმე წვლილი მიუძღვის ჩვენს ამ წარმატებაში. მე აქ ვარ და კლუბის საკეთილდღეოდ ყველაფერს გავაკეთებ, რაც შემეძლება. მომავალი სეზონი ჩვენთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იქნება. რაც შეეხება ფიგუს, მას დარჩენა მეც არაერთხელ ვთხოვე, მაგრამ...“

„რამდენიმე გაზეთი ახლაც ცდილობს, ზეიმი ჩაგვიშხამოს, მაგრამ არ გამოუვათ. ვერ ვხვდები, რატომ ახსენებენ გაუთავებლად „იუვენტუსს“. ფაქტია, რომ ტურინელები ამ სეზონში სერია A-ში არ ყოფილან და ეს ჩვენი ბრალი არ არის. რა თქმა უნდა, მომავალ სეზონში „იუვესთან“ ბრძოლა ძალიან რთული იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი და, ცხადია, ჩვენ ისევ დიდი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ“ — თქვა „ინტერის“ მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ.

იტალიაში და, ზოგადად, საფეხბურთო სამყაროში გამეფებული აზრით, „ინტერის“ ამ წარმატებაში კალჩოპოლის სკანდალმა ლომის წვლილი შეიტანა. ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ მომავალ სეზონში „იუვენტუსი“ სერია A-ს დაუბრუნდება და „ნეროაძური“ ასე ვეღარ გაინავარდებს.

მილანელთა მწვრთნელმა კი უარყო ინფორმაცია, თითქოს მან მორატის უკვე გადასცა იმ ფეხბურთელთა სია, რომელთა შეძენაც უნდა.

„რასაკვირველია, ერთ-ორ ახალ ფეხბურთელს დავიმატებთ, მაგრამ სერიოზულ ცვლილებებს არ ვგეგმავთ. სიამოვნებით ვიყიდდი ლუკა ტონის და დანიელე დე როსის, თუმცა ჩვენი პრიორიტეტი მოთამაშეების შენარჩუნებაა. მაგალითად, დიდი შანსია, ერნან კრესპომ და ლუიშ ფიგუმ დაგვტოვონ, რაც სამწუხაროა. სხვა ლიდერების გაშვებას ნამდვილად არ ვაპირებთ. კარგი იქნება, თუ ამ ორ ფეხბურთელსაც შევინარჩუნებთ“ — დასძინა მანჩინიმ.

„ემპოლის“ კარში ერთ-ერთი გოლი ალვარო რეკობამ გაიტანა — პირდაპირ კუთხურიდან ჩაახვია. ტრავმებით გატანჯული ურუგვაელი ამით ძალიან გახარებული იყო, წარმოიდგინეთ, მას 2006 წლის 19 მარტის მერე არ გაეტანა.

10 წელია, რეკობა „ნეროაძურიშია“, მაგრამ ბოლო წლებში ძირითად შემადგენლობაში ვეღარ ხვდება და წასვლაზე ფიქრობს.

„მინდორზე ყოფნითაც ძალიან ბედნიერი ვიყავი, მაგრამ ძალიან გამიხარდა, რომ გატანაც შევძელი. მით უმეტეს, მთელი ჩემი ოჯახი სტადიონზე იყო. ეს წარმატება ნამდვილად დავიმსახურეთ. რაც შეხება ჩემს მომავალს, ჯერ ვერაფერს გეტყვით. თუ რეგულარულად არ ვთამაშობ, გუნდის სრულფასოვან წევრად ვერ ვგრძნობ თავს. თუმცა ახლა უკვე მხოლოდ ეროვნულ ნაკრებზე და კოპა ამერიკაზე ვფიქრობ, დანარჩენს დრო გვაჩვენებს“ — აღნიშნა რეკობამ.

**გიორგი ძაძამიძე**

# ტკივილიანი წასვლა

## ანჯელო პერუცი უკვე ყოფილია




**რომის** „ლაციოს“ ვეტერანმა მეკარემ ანჯელო პერუციმ მოულოდნელად განაცხადა, რომ კვირას გამართული დედაქალაქური დერბი მისი ბოლო მატჩი იყო. პერუცი კარიერის დასრულებას სეზონის ბოლოს რომ აპირებდა, ისედაც ცნობილი იყო, თუმცა მან სერია A-ს დასრულებამდე 4 ტურით ადრე გადაწყვიტა წასვლა.

„გადაწყვეტილება იანვარში მივიღე. ეს მატჩი კი ჩემი ბოლო რომაული დერბი კი არა, ალბათ, საერთოდ, ბოლო თამაში იყო სერია A-ში. კარიერას ვამთავრებ. უკვე 37 წლის ვარ. უამრავი ტრავმა მქონდა და ტკივილი თამაშის გაგრძელების საშუალებას არ მაძლევს“ — თქვა ანჯელომ.

პერუცი 1970 წლის 16 თებერვალს ვიტერბოში დაიბადა. სერია A-ში მისი დებიუტი 1987 წლის დეკემბერში „რომას“ რიგებში შედგა. სულ სერია A-ში 477 მატჩი აქვს ჩატარებული და ამ მაჩვენებლით ერთ-ერთი საუკეთესოა.

უთამაშია „ვერონაში“, „რომაში“, „იუვენტუსსა“ და „ინტერში“, ხოლო 2000 წლიდან „ლაციოში“ ირიცხება... იყო იტალიის ნაკრების მეკარე.

პერუცის ეს განცხადება უსიამოვნო სიურპრიზი გამოდგა „ლაციოს“ მწვრთნელ დელიო როსისთვის: „შევთანხმდით, რომ სეზონის ბოლომდე მოვიცდიდით და იგი მერე მიიღებდა საბოლოო გადაწყვეტილებას. ყოველ შემთხვევაში, სეზონის ბოლომდე არ უნდა წასულიყო და იმედია, გადაიფიქრებს. წინ მნიშვნელოვანი ოთხი მატჩი გვაქვს, ანჯელო კი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშეა. იგი ნამდვილი ჩემპიონია, რომელსაც, ფაქტობრივად, ყველაფერი მოგებული აქვს. თუ იგი მაინც გადაწყვეტს წასვლას, ესე იგი, ვერაფრით უძლებს ტკივილებს“.

**ძოძი ძანდელაძი**




# არც იოცნებოთ ბუფონზე!

**ჯანლუიჯი ბუფონის** გარშემო ატეხილ მითქმა-მოთქმას „იუვენტუსის“ პრეზიდენტ ჯოვანი კობოლი ჯილის მტკიცე განცხადება მოჰყვა: ბუფონი „ინტერში“ ან „მილანში“ არასოდეს ითამაშებსო.

„ფანებს შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ და ამ საკითხზე არ ინერვიულონ. ბუფონს „ინტერს“ ან „მილანს“ არასოდეს მივყიდით. მის გარშემო ატეხილი აურზაური სრული აბსურდია. ეს რომ მოხდეს, ქომაგებს თვალებში ვეღარ შევხედავთ. „ლეგა კალჩოს“ ბოლო კრებაზე მასიმო მორატისა და ადრიანო გალიანის ვუთხარი, რომ ჯიჯი ხელშეუხებელია. მათ მთხოვეს, თუ აზრს შევიცვლი, ვაცნობო, მაგრამ ეს არ მოხდება“ — განაცხადა კობოლი ჯილიმ.

ამასობაში „იუვენტუსში“ დაბრუნებისგან თავი შორს დაიჭირა მარჩელო ლიპიმ. ბოლო ხანს ბევრჯერ ითქვა, ტურინელები სერია A-ში დაბრუნებას რომ გაინაღდებენ, დიდ დეშანს ლიპით შეცვლიანო.

„ასეთ საკითხებზე კომენტარს არ ვაკეთებ. „იუვენტუსს“ ჰყავს მწვრთნელი, რომელიც თავის საქმეს მშვენივრად აკეთებს. ჩემს ყველა კოლეგას დიდ პატივს ვცემ. „იუვეში“ ბრწყინვალე დრო გავატარე და ტურინელებთან კარგი მოგონებები მაკავშირებს. ქომაგებთან ახლაც ჩინებული ურთიერთობა მაქვს“ — თქვა „მაესტრომ“.

ლიპის „ვალენსიასაც“ უკავშირდებიან. „ლამურებს“ იტალიელი სპორტული დირექტორი ამადეო კარბონი ჰყავთ, რომელიც დონ მარჩელის მეგობარია.

— „ვალენსია“ საინტერესო და კარგი კლუბია, თუმცა მის სპორტულ დირექტორ ამადეო კარბონისთან, რომელიც ჩემი მეგობარია, ამ საკითხზე ნამდვილად არ მილაპარაკია. საერთოდ, არ ვიცი, როდის დავუბრუნდები მწვრთნელობას“ — დასძინა ლიპიმ.

**გიორგი ძაძამიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გაეთრიეთ აქედან!

გერმანიაში დიდი ამბებია — დაჩაჩანაკებულ მიუნხენის „ბაიერნს“ ყველა მხრიდან უტევენ გინდ გულშემატკივრები, გინდ ჟურნალისტები. ბუნდესლიგის ბოლო ტურში „ჰამბურგთან“ 1:2 წაგების შემდეგ კი არა მარტო „ბაიერნის“ ფეხბურთელები მოექცნენ კრიტიკის ქარ-ცეცხლში, არამედ მათ მენეჯერ ული ჰიონესსაც მოუხდა კითხვებზე პასუხის გაცემა...



## ული ჰიონესმა ბაიერნელებს კარისკენ მიუთითა: ეს გუნდი დაშლილია, ელოდეთ ახალს

— როგორ შეაფასებდით „ჰამბურგთან“ 1:2 წაგების შემდეგ გუნდის უმინიმალურეს შანსს ჩემპიონთა ლიგაში მოსახვედრად?

— ეს თამაში ზუსტი გამოძახილი იყო მთელი სეზონის. ჩვენ ვერ შევძელით იმ მიზნის მიღწევა, რაც დასახული გვქონდა. ეს კი საბაბია იმისა, რომ დავიწყოთ გუნდის სრული განახლება. ეს გარდაუვალია და ბიჭებს თამაშის მერე გასახდელშიც ვუთხარი, რომ ეს გუნდი დაიშლება — მომავალ სეზონს სულ სხვა ფეხბურთელებით დავიწყება.

— ამ სეზონის გუნდზე ხელი საბოლოოდ ჩაიქნიეთ?

— ყველასათვის ნათელია, რომ „ბაიერნს“ ახალი ძალა სჭირდება და ამაზე ჩვენ ვიზრუნებთ. მაღალი კლასის ფეხბურთელები უნდა ვიყიდოთ და გავაკეთებთ კიდეც.

— ჰამბურგელმა რაფაელ ვან დერ ვაარტმა საოცარი გოლი გაუტანა „ბაიერნს“. მის გადმოყვანაზეც ისევე სერიოზულად ფიქრობთ, როგორც იტალიელ ლუკა ტონიზე?

— ვან დერ ვაარტზე არ გვიფიქრია და არც ვიფიქრებთ. მე აქ იმისთვის არ ვარ, ვიღაცის ნათქვამი დავამტკიცო ან უარვყო. გადაწყვეტილებებს თავად მივიღებთ და სხვათა შემოთავაზებები არ გვჭირდება.

— თუმცა ჩემპიონთა ლიგაში ვეღარ ითამაშებთ...

— ეს სეზონი ჩვენთვის უკვე დასრულდა. უეფას თასზე გასვლა გარანტირებული გვაქვს. მესამე ადგილზე კი ლაპარაკიც არ შეიძლება. მთელი ძალები მომავალი სეზონისთვის ძლიერი გუნდის შექმნისკენაა მიმართული. ამ მოთამაშეებს შანსი ჰქონდათ, რომელიც მთელი წლის მანძილზე ვერ გამოიყენეს და ამით ყველაფერი ნათქვამია.

— სამაგიეროდ კი „ბაიერნს“ ღრმად მოუწევს ჯიბეში ხელის ჩაყოფა...

— ნუ იდარდებთ — საკმარისი ფული გვაქვს. ჩვენ მივაღწევთ მიზანს და, როცა ახალი ვარსკვლავები აქ იქნებიან, აუცილებლად გაცნობებთ.

# ჩვენი ევროპა დამთავრდა



ბრემენის „ვერდერის“ ლიდერ მიროსლავ კლოზეს თქმით, მისი გუნდის მთავარი ამოცანა ბუნდესლიგის მოგებაა. „მუსიკოსები“ უეფას თასის ნახევარფინალში კი არიან, მაგრამ პირველი მატჩი ესპანურ „ესპანიოლთან“ 0:3 წააგეს და ფინალში გასვლის მიზერული შანსიღა აქვთ. ეს მიროსაც კარგად ესმის, თუმც ისიცაა, რომ ბოლო ხანს ვერდერელები ბუნდესლიგაშიც მოიკოჭლებენ და მნიშვნელოვან ქულებს კარგავენ...

## მიროსლავ კლოზე 1000 წუთს მისტირის

— როგორც ჩანს, უეფას თასის მოგების შანსი აღარ გაქვთ...

— 0:3 წაგება ფინალში გასვლის ძალიან მცირე შანსს გვიტოვებს. ეს ძალიან სამწუხაროა, რადგან უეფას თასის მოგება გვინდოდა. დიდი ხანია, გერმანულ კლუბს სამშობლოში ევროთასი აღარ ჩამოუტანია.

— ახლა თქვენი მთავარი ამოცანა ბუნდესლიგის მოგებაა?

— ეს სეზონის წარმატებით დამთავრების ჩვენი ერთადერთი შანსია. ახლა, ფაქტობრივად, მთელი ყურადღება ჩემპიონატზე უნდა გადავიტანოთ და ყველა დარჩენილი მატჩი მოვიგოთ.

— ალბათ ეს ადვილი არ იქნება, რადგან სერიოზული კონკურენტები გყავთ: „შალკე“ და „შტუტგარტი“.

— არავინ ამბობს, რომ ეს ადვილი იქნება, თუმცა სხვა გამოსავალი არ გვაქვს.

— რაშია ბუნდესლიგის ლიდერ „შალკეს“ ძალა და რა პლუსი აქვს „ვერდერს“?

— „შალკეს“ ძალიან სერიოზული ფინანსური პარტნიორი გამოუჩნდა „გაზპრომის“ სახით. ასეთი სოლიდური სპონსორის ყოლა და კარგი ფინანსური მდგომარეობა კი თანამედროვე ფეხბურთში ლამის გადამწყვეტ როლს თამაშობს. ბუნებრივია, ამის მერე კლუბის ამბიციები გაიზარდა. გელზენკირხენელებს ოქრო სურთ, მაგრამ ეს ჩვენც გვინდა. მთავარი კი ის არის, რომ ფეხბურთელების დონის მიხედვით ბუნდესლიგაში არავისზე ნაკლები გუნდი არ გვყავს. ასე რომ, ჩემპიონობის შანსებს თანაბრად გავანაწილებდი.

— ცოტა ხნის წინ 1000 წუთზე მეტი ხნის განმავლობაში გოლი ვერ გაიტანეთ...

— კარგად მახსოვს ეს პერიოდი — გოლის გატანას დიდი ხანი ვერ ვახერხებდი და სერიოზული ზეწოლის ქვეშ ვიყავი. პრესის კრიტიკას ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ვგრძნობდი, როგორ ვუცრუებდი იმედებს გუნდს, ქომაგებს და ეს მაღელვებდა. ჩემი გამოუყენებელი მომენტების გამო არაერთი ქულა დავკარგეთ, რაც ახლა ძალიან დაგვეხმარებოდა.

— თუმცა ბუნდესლიგის ბომბარდირობის შანსი კიდევ გაქვთ...

— ამაზე უარს ნამდვილად არ ვიტყოდი, თუმცა მთავარია, „ვერდერმა“ მოიგოს.

— თქვენმა ისტორიულმა სამშობლომ, პოლონეთმა, უკრაინასთან ერთად ევრო 2012-ის მასპინძლობის უფლება მოიპოვა. გაგიხარდათ?

— რასაკვირველია! ძალიან მინდოდა, ასეთი დონის ტურნირი პოლონეთში ჩატარებულიყო. ეს იქაური ფეხბურთის განვითარებას შეუწყობს ხელს და ეკონომიკური თვალსაზრისითაც მომგებიანი იქნება.

— თან 2006 წელს გერმანიაში ჩატარებული მუნდიალის შემდეგ თქვენ კვლავ მოგეცემათ საშუალება, დიდ ტურნირზე თქვენს მეორე სამშობლოში ითამაშოთ...

— დიახ, გერმანიაც ჩემი სამშობლოა და პოლონეთიც. თუმცა, ევრო 2008-სთვის 34 წლის ვიქნები და საკითხავია, მოვხვდები თუ არა გერმანიის ნაკრებში.

— თქვენი მშობლებიც სპორტსმენები იყვნენ — გაძლევენ ისინი რჩევებს?

— მამაჩემი ფეხბურთელი იყო, ფრანგულ „ოსერში“ თამაშობდა. დედა ხელბურთელი გახლდათ და პოლონეთის ნაკრებში 80-ზე მეტი მატჩი აქვს ჩატარებული. ასე რომ, ჩემი მშობლების დამსახურებაა, დღეს ფეხბურთელი რომ ვარ.

## ბაიერნს კლოზეს ბოდიში ვერ უშველის

**მიუნხენის** „ბაიერნს“ გერმანიის ფეხბურთის კავშირისთვის ახსნა-განმარტების მიცემა მოუწევს მიროსლავ კლოზესთან დაკავშირებით. შეგახსენებთ, რომ პარასკევს ჰანოვერის ერთ-ერთ სასტუმროში ნახეს კლოზე, ოტმარ ჰიცფელდი და ული ჰიონესი. „ბაიერნის“ მწვრთნელი და მენეჯერი „ვერდერის“ ფორვარდის გადაბირებას ცდილობენ, ამგვარი მოლაპარაკება კი არალეგალურია — ფეხბურთელთან მოლაპარაკება შესაძლებელია მაშინ, როცა მას კონტრაქტის დასრულებამდე ექვს თვეზე ნაკლები დარჩება. თან ამის შესახებ მის მფლობელ კლუბს ოფიციალურად უნდა ეცნობოს. „ბაიერნმა“ წესი დაარღვია, რადგან კლოზეს „ვერდერთან“ ხელშეკრულება 2008-ის ზაფხულში ეწურება. ფეხბურთელმა თავი იმართლა, ეს სრულიად არაფორმალური შეხვედრა იყოო და ბოდიშიც მოუხადა „ვერდერს“, მაგრამ კავშირის განცხადებით, თუ „ბაიერნი“ დამნაშავედ ცნეს, დასჯიან.

## აბიდალი ამ კვირაში

**საფრანგეთის** ნაკრების და „ლიონის“ მცველმა ერიკ აბიდალმა, შესაძლოა, „ბარსელონასთან“ კონტრაქტს ხელი ამ კვირაშივე მოაწეროს.

„ლიონი“ უკვე გახდა ქვეყნის ჩემპიონი და სასურველია, წამსვლელი მალე გაუშვას, რათა მომავალი სეზონისთვის გუნდი დააკომპლექტოს. „ბარსა“ კი არ ჩქარობს, რადგან ესპანეთში ჩემპიონატი ჯერ არ დასრულებულა, თუმც აბიდალით „ვალენსიაც“ დაინტერესებულია და ამან ეგებ დააჩქაროს კატალონიური კლუბი.

ფრანგი მცველის ფასი 12 მილიონი ევროა.

## მზვერავი მანჩინი

**„ინტერის“** მწვრთნელი რობერტო მანჩინი ოთხშაბათს „ჩელსი“ — „ლივერპულის“ მატჩს დაესწრო. მას სამი ფეხბურთელი აინტერესებს: რიკარდუ კარვალიუ, ჯონ ტერი და ფრენკ ლამპარდი.

ფრენკ ლამპარდს და ჯონ ტერის ჯერ არ გაუხანგრძლივებიათ კონტრაქტები „ჩელსისთან“ და რობერტო მანჩინი ერთ-ერთი მათგანის გადაბირებას მაინც ეცდება — წერს იტალიური „კორიერე დელო სპორტი“.

„ინტერის“ სასურველ ფეხბურთელთა ნუსხაში აგრეთვე არიან: რიკარდუ კვარესმა, ჯანლუიჯი ბუფონი, დანიელე დე როსი და ლუკა ტონი.

**ვაჟა ხუციშვილი**

### მექსიკა

კლაუსურა. XVII ტური

ატლასი 2:0 კერეტარო

სანტოსი 2:0 კრუზ ასული

### არგენტინა

კლაუსურა
XII ტური

სან ლორენსო 3:2 ნუევა ჩიკაგო

### აშშ

MLS. IV ტური

ჰიუსტონი 0:1 ჩიკაგო

### ჩილე

პრიმერადივიზიონი. XV ტური

უნივ. დე ჩილე — კოლო კოლო 0:0; აუდაქს იტალიანო — კობრელოა 2:0; ლა სერენა — სანტიაგო 2:1; პუერტო მონტი — დეპ. კონსეპსიონი 3:1

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | 5 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 2 | სიტი-მანჩესტერი | 6.50 | 3.60 | 1.53 | 2.31 | 1.23 | 1.07 |
| 18:00 | 4 | ნიუკასლი-ბლექბერნი | 2.15 | 3.20 | 3.30 | 1.28 | 1.30 | 1.62 |
| 18:00 | 5 | რედინგი-უოტფორდი | 1.50 | 3.90 | 6.50 | 1.08 | 1.21 | 2.43 |
| 18:00 | 6 | ფულემი-ლივერპული | 3.80 | 3.30 | 1.95 | 1.76 | 1.28 | 1.22 |
| 18:00 | 8 | ევერტონი-პორტსმუთი | 1.85 | 3.30 | 4.30 | 1.18 | 1.29 | 1.86 |
| 18:00 | 9 | ვესტ ჰემი-ბოლტონი | 2.20 | 3.30 | 3.10 | 1.32 | 1.28 | 1.59 |
| 18:00 | 10 | უიგანი-მიდლსბრო | 2.10 | 3.30 | 3.40 | 1.28 | 1.29 | 1.67 |
| 20:15 | 11 | ასტონ ვილა-შეფილდი | 2.00 | 3.20 | 3.80 | 1.23 | 1.31 | 1.73 |
| | | 6 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 12 | არსენალი-ჩელსი | 3.00 | 3.20 | 2.30 | 1.54 | 1.30 | 1.33 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი პლეი ოფი** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 23:00 | 484 | იორკი-მორეკომბი | 2.30 | 3.20 | 2.95 | 1.33 | 1.29 | 1.53 |
| 23:00 | 485 | ექსეტერი-ოქსფორდი | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი პლეი ოფი** | | | | | | |
| | | 2 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 486 | რეითი-სტირლინგი | 2.20 | 3.30 | 2.80 | 1.32 | 1.23 | 1.51 |
| 22:45 | 487 | ბრეჩინი-ერდრი | 2.50 | 3.20 | 2.50 | 1.40 | 1.25 | 1.40 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი პლეი ოფი** | | | | | | |
| | | 2 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 488 | ქუინზ პარკი-არბროთი | 2.45 | 3.20 | 2.55 | 1.38 | 1.24 | 1.41 |
| 22:45 | 489 | ისტ ფაიფი-სტრანრარი | 2.40 | 3.20 | 2.55 | 1.37 | 1.23 | 1.41 |
| | | **იტალია. სერია B** | | | | | | |
| | | 1 მაისი | | | | | | |
| 17:00 | 132 | ბარი-პიაჩენცა | 2.40 | 2.60 | 3.20 | 1.24 | 1.37 | 1.43 |
| 17:00 | 133 | რიმინი-კროტონე | 1.27 | 4.30 | 10.00 | 1.00 | 1.12 | 3.00 |
| 17:00 | 134 | ვიჩენცა-ბოლონია | 2.95 | 2.25 | 3.00 | 1.27 | 1.48 | 1.28 |
| 17:00 | 135 | ჯენოა-ვერონა | 1.35 | 4.00 | 8.00 | 1.00 | 1.15 | 2.66 |
| 22:30 | 136 | მანტოვა-ტრევიზო | 1.45 | 3.30 | 7.00 | 1.00 | 1.20 | 2.24 |
| 17:00 | 137 | მოდენა-ბრეშა | 2.20 | 2.80 | 3.30 | 1.23 | 1.32 | 1.51 |
| 22:30 | 138 | ნაპოლი-ალბინოლეფე | 1.30 | 4.20 | 9.50 | 1.00 | 1.14 | 2.91 |
| 17:00 | 139 | პესკარა-სპეცია | 2.90 | 2.90 | 2.35 | 1.45 | 1.29 | 1.29 |
| 22:30 | 140 | არეცო-ჩეზენა | 2.00 | 3.00 | 3.50 | 1.20 | 1.27 | 1.61 |
| 17:00 | 141 | ფროზინონე-იუვენტუსი | 8.50 | 3.60 | 1.35 | 2.52 | 1.16 | 1.00 |
| 17:00 | 142 | ტრიესტინა-ლეჩე | 2.55 | 2.00 | 4.10 | 1.12 | 1.57 | 1.34 |
| | | **შვედეთი. ალსვენსკა** | | | | | | |
| | | 1 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 336 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 2.30 | 3.30 | 2.80 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | 1 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 343 | იონკოპინგი-ლიუნგსკილე | 2.50 | 3.30 | 2.50 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | 3 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 352 | ოულუ-ინტერი | 2.40 | 3.20 | 2.60 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 19:30 | 353 | ჰაკა-ლაჰტი | 1.85 | 3.00 | 4.20 | 1.14 | 1.28 | 1.75 |
| 19:30 | 354 | ვპს-მიუპა | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| 19:30 | 355 | ვიცინგიტი-კტპ | 2.15 | 3.20 | 3.00 | 1.28 | 1.25 | 1.54 |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 356 | პონკა-ტამპერე | 2.50 | 3.20 | 2.45 | 1.40 | 1.23 | 1.38 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | 1 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 411 | ლივერპული-ჩელსი | 2.45 | 3.10 | 2.90 | 1.36 | 1.32 | 1.49 |
| | | 2 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 412 | მილანი-მანჩესტერი | 2.20 | 3.10 | 3.30 | 1.28 | 1.32 | 1.59 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | 3 მაისი | | | | | | |
| 22:45 | 413 | სევილია-ოსასუნა | 1.50 | 3.40 | 7.50 | 1.04 | 1.25 | 2.33 |
| 22:45 | 414 | ვერდერი-ესპანიოლი | 1.55 | 3.90 | 5.50 | 1.10 | 1.20 | 2.28 |
| | | **ევროპის ჩემპიონატი (17) ბელგია** | | | | | | |
| | | 2 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 480 | ინგლისი(17)-ისლანდია(17) | 1.50 | 3.50 | 5.50 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| 18:00 | 481 | ესპანეთი(17)-საფრანგეთი(17) | 2.25 | 3.00 | 2.85 | 1.28 | 1.25 | 1.46 |
| 20:00 | 482 | ბელგია(17)-პოლანდია(17) | 3.85 | 3.20 | 1.80 | 1.74 | 1.22 | 1.15 |
| 20:00 | 483 | გერმანია(17)-უკრაინა(17) | 1.75 | 3.20 | 4.10 | 1.13 | 1.22 | 1.79 |
| | | **რუსეთი. თასი (1/2 ფინალი პირველი მატჩები)** | | | | | | |
| | | 2 მაისი | | | | | | |
| 18:00 | 418 | დინამო ბრ-მოსკოვი | 4.50 | 3.00 | 1.85 | 1.79 | 1.31 | 1.14 |
| 19:00 | 419 | ლოკომოტივი მ-სპარტაკი მ | 2.60 | 3.00 | 2.60 | 1.39 | 1.29 | 1.39 |
| | | **ავსტრია. თასი ფინალი** | | | | | | |
| | | 1 მაისი | | | | | | |
| 19:00 | 415 | აუსტრია-მატერსბურგი | 2.10 | 3.20 | 3.20 | 1.26 | 1.26 | 1.60 |
| | | **პოლონეთი. თასი** | | | | | | |
| | | 1 მაისი | | | | | | |
| 14:00 | 490 | გროცლინი-კორონა(6) | 2.90 | 3.10 | 2.30 | 1.49 | 1.28 | 1.32 |
| | | **დანია. თასი** | | | | | | |
| | | 2 მაისი | | | | | | |
| 20:15 | 416 | კოპენჰაგენი-ლიუნგბიუ | 1.20 | 5.20 | 12.00 | 1.00 | 1.09 | 3.62 |
| 21:00 | 417 | ვიბორგი-ოდენსე | 2.90 | 3.20 | 2.20 | 1.52 | 1.25 | 1.30 |
| | | **ჰოკეი.მსოფლიოს ჩემპიონატი. რუსეთი** | | | | | | |
| | | 1 მაისი | | | | | | |
| 16:15 | 471 | უკრაინა-დანია | 2.00 | 4.20 | 2.20 | 1.35 | 1.04 | 1.44 |
| 20:15 | 472 | რუსეთი-ფინეთი | 1.50 | 4.50 | 3.50 | 1.12 | 1.04 | 1.96 |
| | | **კალათბურთი. ევროლიგა** | | | | | | |
| | | 4 მაისი | | | | | | |
| 19:30 | 464 | ცსკა-უნიკახა | 1.07 | 12.00 | 6.50 | 1.00 | 1.00 | 4.21 |
| 22:30 | 465 | პანათინაიკოსი-ტაუ | 1.30 | 12.00 | 3.10 | 1.17 | 1.00 | 2.46 |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10336 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 2.75 | 2.00 | 3.30 | 1.15 | 1.50 | 1.24 |
| 10411 | ლივერპული-ჩელსი | 2.90 | 2.00 | 3.40 | 1.18 | 1.56 | 1.25 |
| 10412 | მილანი-მანჩესტერი | 2.65 | 2.00 | 3.70 | 1.13 | 1.54 | 1.29 |
| 10413 | სევილია-ოსასუნა | 1.90 | 2.10 | 7.80 | 1.00 | 1.52 | 1.65 |
| 10414 | ვერდერი-ესპანიოლი | 1.85 | 2.10 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.55 |
| 10415 | აუსტრია-მატერსბურგი | 2.55 | 2.00 | 3.70 | 1.12 | 1.50 | 1.29 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11336 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 3.50 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.30 | 20.00 | 10.00 | 4.40 |
| 11411 | ლივერპული-ჩელსი | 3.60 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.80 | 20.00 | 10.00 | 4.00 |
| 11412 | მილანი-მანჩესტერი | 3.30 | 10.00 | 20.00 | 4.40 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 4.80 |
| 11413 | სევილია-ოსასუნა | 1.85 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11414 | ვერდერი-ესპანიოლი | 2.20 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11415 | აუსტრია-მატერსბურგი | 3.00 | 10.00 | 20.00 | 4.00 | 4.40 | 6.00 | 20.00 | 10.00 | 5.30 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | ნაკ. | მეტ. |
|---|---|---|---|
| 12336 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 12411 | ლივერპული-ჩელსი | 1.50 | 2.20 |
| 12412 | მილანი-მანჩესტერი | 1.60 | 2.00 |
| 12413 | სევილია-ოსასუნა | 1.60 | 2.00 |
| 12414 | ვერდერი-ესპანიოლი | 2.10 | 1.60 |
| 12415 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.70 | 1.90 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13336 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 1.70 | 1.90 |
| 13411 | ლივერპული-ჩელსი | 1.90 | 1.70 |
| 13412 | მილანი-მანჩესტერი | 1.70 | 1.90 |
| 13413 | სევილია-ოსასუნა | 1.90 | 1.70 |
| 13414 | ვერდერი-ესპანიოლი | 1.90 | 1.70 |
| 13415 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე გუნდი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14336 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 1.80 | 2.00 |
| 14411 | ლივერპული-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 14412 | მილანი-მანჩესტერი | 1.80 | 2.00 |
| 14413 | სევილია-ოსასუნა | 1.30 | 2.50 |
| 14414 | ვერდერი-ესპანიოლი | 1.30 | 2.50 |
| 14415 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.75 | 2.10 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15336 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15411 | ლივერპული-ჩელსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15412 | მილანი-მანჩესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15413 | სევილია-ოსასუნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15414 | ვერდერი-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15415 | აუსტრია-მატერსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16336 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 1.62 | 2.05 |
| 16411 | ლივერპული-ჩელსი | 1.70 | 1.90 |
| 16412 | მილანი-მანჩესტერი | 1.50 | 2.30 |
| 16413 | სევილია-ოსასუნა | 1.14 | 4.70 |
| 16414 | ვერდერი-ესპანიოლი | 1.17 | 4.10 |
| 16415 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.50 | 2.30 |

### გოლი:წყვილი-ლუწი კენტი-2 (0:0 ითვლება წყვილად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17336 | ჰელსინგბორგი-ელფსბორგი | 1.85 | 1.95 |
| 17411 | ლივერპული-ჩელსი | 1.85 | 1.95 |
| 17412 | მილანი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 17413 | სევილია-ოსასუნა | 1.85 | 1.95 |
| 17414 | ვერდერი-ესპანიოლი | 1.85 | 1.95 |
| 17415 | აუსტრია-მატერსბურგი | 1.85 | 1.95 |

### შემდეგ ეტაპზე გასვლა

| | | | |
|---|---|---|---|
| 18411 | ლივერპული-ჩელსი | 3.00 | 1.30 |
| 18412 | მილანი-მანჩესტერი | 2.10 | 1.65 |
| 18413 | სევილია-ოსასუნა | 1.70 | 2.00 |
| 18414 | ვერდერი-ესპანიოლი | 6.50 | 1.05 |

**შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე**

# ქართული ლეგიონი

## ათუაშვილის რეკორდი ნეპტუნასს არ ეყო

**საქართველოსი** არ იყოს, ევროპაშიც პლეი ოფს მიადგა ეროვნული პირველობები. იტალიასა და ესპანეთში რეგულარული ჩემპიონატები ორ ტურში დასრულდება, სხვა წვრილ-წვრილ ქვეყნებში კი უკვე შუა პლეი ოფია გახურებული.

ყოჩაღად მიიბრძვის ესტონეთის ჩემპიონობისკენ გიორგი ცინცაძის „როკი“. ბალტიის ლიგაზე იმედგაცრუების შემდეგ ტარტუელებმა მთელი იერიში შიდაჩემპიონატზე მიიტანეს და ფინალამდე ერთი ნაბიჯიღა უკლიათ. ნახევარფინალური სერიის პირველ მატჩში „როკერებმა“ „ნიბიტი“ დაამარცხეს, საქართველოს ნაკრების გამთამაშებლის ანგარიშზე კი 18 წუთში 6 ქულა, 4 პასი და 2 მოხსნა დაგროვდა.

„როკი“ ალბათ იოლად გავა ფინალში, სადაც მას სავარაუდოდ ესტონეთის მარად მოწინავე „კალევთან“ მოუწევს დაპირისპირება. ტალინელებიც ცალი ფეხით ფინალში არიან და „როკთან“ საბრძოლველად აქედანვე ემზადებიან.

ესტონეთის მეზობელ ლიტვაში კი უკვე ფინალისტები გამოვლინდნენ, სადაც ადგილი ვერ მოინახა სერგო ათუაშვილის „ნეპტუნასისთვის“. ან როგორ უნდა მონახულიყო, ლიტვის ჩემპიონატში ხომ ორი ვეშაპი — „ჟალგირისი“ და „ლიეტუვოს რიტასი“ — მძვინვარებს და უკვე კარგა ხნის ტრადიციაა, რომ ოქრო მათ უნდა გაითამაშონ.

„ნეპტუნასმა“ ნახევარფინალი „რიტასთან“ წააგო. ათუაშვილისთვის რეკორდული იყო სერიის პირველი თამაში, რომელშიც მან ლიტვაში ყოფნისას უბევრესი 24 წუთი ითამაშა და 7-7 ქულა-მოხსნა მიითვალა.

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | სლოვენიის ჩემპიონატი | სლოვანი | ს | 69:73 | 33 | 18 | 6 | 5 |
| გიორგი ცინცაძე | როკი | ბალტიის ლიგა | ნიბიტი | შ | 88:73 | 18 | 6 | 4 | 2 |
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | მილანი<br>მონტეგრანარო | შ<br>ს | 80:54<br>89:82 | 12<br>14 | 1<br>5 | 6<br>3 | 1<br>0 |
| სერგო ათუაშვილი | ნეპტუნასი | ლიტვის უმაღლესი ლიგა | ლიეტუვოს რიტასი<br>ნევეჟისი | ს<br>შ | 72:105<br>72:96 | 24<br>11 | 7<br>2 | 7<br>2 | 0<br>0 |
| ვიქტორ სანიკიძე | ესტუდიანტესი | ესპანეთის ჩემპიონატი | პამერა | ს | 70:91 | არ უთამაშია | | | |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | სან ფერნანდო | ესპანეთის ჩემპიონატი | ბილბაო | შ | 73:96 | 14 | 12 | 3 | 1 |
| ტაირონ ელისი | ნაპოლი | სერია A | მილანი<br>სნაიდერო | ს<br>შ | 61:99<br>88:96 | 25<br>27 | 12<br>6 | 2<br>4 | 3<br>3 |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ნ — ნაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

ესპანეთში საქმე ისე მიდის, რომ ორივე ჩვენიანის გუნდი პლეი ოფს მიღმა დარჩება. ნიკოლოზ ცქიტიშვილის „სან ფერნანდო“ და ვიქტორ სანიკიძის „ესტუდიანტესი“ პრიმერადივიზიონის რვეულის გარეთ არიან და ძნელად სავარაუდოა, რომ დარჩენილ ორ ტურში საპლეიოფო ზონაში შეყონ თავი.

სამაგიეროდ, იტალიაში ყველაფერი გადაწყვეტილია. ვლადიმერ ბოისას „სიენამ“ პირველობა გაინაღდა, ხოლო ტაირონ ელისის „ნაპოლი“ მეექვსეზეა და ალბათ მერვე [illegible].

მანუჩარ მარკოიშვილმა მორიგი [illegible] აში. მართალია, მისი „ოლიმპია“ „სლოვანთან“ დამარცხდა, მაგრამ ქართველმა უკანახაზელმა ბრწყინვალედ ითამაშა. 18 ქულა დაუგროვდა, თან ისე, რომ ერთი სროლა არ აუცდენია და ბომბარდირი გახდა.

**ირაკლი პერტაია**



სერგო ათუაშვილის (ბურთით) გუნდი მესამე ადგილისთვის იბრძოლებს

PLAYOFFS 2007

# მაიამის ამაოება

## პლეი ოფმა ჩემპიონი დაკარგა



AFP მაიამიდან

შაკილ ონილი დაბლა! ჩემპიონი „მაიამი“ „ჩიკაგოსთან“ 0:4-ით შერცხვენილი ემშვიდობება პლეი ოფს

**მეფე მოკვდა!** გაუმარჯოს... ახალ მეფეზე, ანუ ჩემპიონზე ჯერ ვერას მოგახსენებთ, ძველის დაცემის თაობაზე კი გიამბობთ.

„ჩიკაგოს“ „მაიამისთან“ თამაშების მინიმალური ოდენობა ეყო, შარშანდელი ტრიუმფატორი 4:0 შეარცხვინა და პლეი ოფიდან ასე გააძევა. ეს ყველაფერი ჯერ კიდევ შემოდგომაზე დაიწყო — რეგულარული ჩემპიონატის პირველივე დღეს, 31 ოქტომბერს „ჩიკაგომ“ მაიამიშივე 108:66 (!) გაანადგურა ჩემპიონები და ხუთი თვით ადრე მოპოვებული საჩემპიონო ოქროს ბეჭდების გადაცემის ცერემონიალი ჩაუშხამა. შაკილ ონილი, დუეინ ვეიდი, მათი თანაგუნდელები და მწვრთნელი პატ რაილი, აბა, როგორ წარმოიდგენდნენ, საშუალო „ბულზთან“ მათი მარცხები სტიქიურ ხასიათს მიიღებდა — რეგულარულშიც ოთხიდან სამი წააგეს და პლეი ოფში ხომ საერთოდ...

„რა გითხრათ, ჩვენზე კარგი გუნდი ჰყავთ“ — თავიანთ მარცხს მეტოქის სიძლიერით ხსნის „მაიამის“ ლიდერი დუეინ ვეიდი. ურჩევნია, საკუთარ გუნდში ეძებოს მიზეზები, უფრო კი — საკუთარ თავში. მართალია მან, გუნდის ინტერესებიდან გამომდინარე, შუა სეზონში მიღებულ ტრავმაზე ოპერაცია არ გაიკეთა და პლეი ოფისთვის მიეშველა თავისიანებს, მაგრამ აქ ის ხელის შემშლელი უფრო იყო, ვიდრე მშველელი და სულ არ ჰგავდა იმ ვეიდს, რომელმაც 2006 პლეი ოფის ფინალი ლამის მარტომ მოუგო „დალასს“. მართალია, აგერ მეოთხე მატჩში 24 ქულა და 10 პასი გააზერხეთ, მაგრამ წუნიც დასაშვებზე მეტი ჰქონდა — თამაშში 22 სროლიდან მხოლოდ 8 ჩააგდო, შვიდჯერ დაკარგა ბურთი და ხუთი ჯარიმის მიღებაც მოასწრო.

„ჩიკაგომ“ კი მაიკლ ჯორდანის ეპოქის, ანუ 1998 წლის შემდეგ პირველი საპლეიოფო სერია მოიგო.

ჩემპიონი გავარდა და დიდი შანსია, მას ვიცე-ჩემპიონიც მიჰყვეს. „დალასი“ აშკარად ვერაფერს უხერხებს „გოლდენ სტეიტს“ და ისე იმსხვრევა, როგორც ბროლის მთა კენჭის მოხვედრისას. კვლავ გაიბრწყინა სტეიტელთა ლიდერმა ბაირონ დევისმა, რომელმაც 33 ქულა ჩაუგდო „დალასს“.

კედელთან დასახვრეტად მიყენებულს ჰგვანან კობი ბრაიანტი და მისი „ლეიკერსი“ — სტივ ნეშს და „ფინიქსს“ 1:3 ჩამორჩნენ. ზღაპრულად ითამაშა თავად ნეშმა — წინა ორი სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ თანაგუნდელებს პასები ისე დაუნანებლად ურიგა, როგორც რეკლამებში სანტა არიგებს საშობაო საჩუქრებს. ნეშმა სულ 23 პასი გასცა და მხოლოდ ერთი დააკლდა პლეი ოფების ყველა დროის რეკორდამდე.

**კოტე ყორშია**

29 აპრილი

### აღმოსავლეთი

#### მაიამი 0:4 ჩიკაგო

მაიამი 79:92 ჩიკაგო

**მაიამი:** ვეიდი (24 ქულა, 10 პასი), ონილი (16), მურნინგი (14)
**ჩიკაგო:** გორდონი (24), დენგი (22 ქულა, 12 მოხსნა), ვოლესი (13 ქულა, 11 მოხსნა)

#### ტორონტო 1:3 ნიუ ჯერსი

ნიუ ჯერსი 102:81 ტორონტო

**ნიუ ჯერსი:** კარტერი (27), ჯეფერსონი (23), კიდი (17 ქულა, 13 პასი, 8 მოხსნა)
**ტორონტო:** ბარნანი (16), ბოში (13 ქულა, 10 მოხსნა), ფორდი (13)

### დასავლეთი

#### დალასი 1:3 გოლდენ სტეიტი

გოლდენ სტეიტი 103:99 დალასი

**გოლდენ სტეიტი:** დევისი (33), რიჩარდსონი (22), ჯეკსონი (19), პიტრუსი (16)
**დალასი:** სტეკჰაუსი (24), ნოვიცკი (23 ქულა, 15 მოხსნა), ჰოვარდი (22 ქულა, 12 მოხსნა), ტერი (19)

#### ფინიქსი 3:1 ლეიკერსი

ლეიკერსი 100:113 ფინიქსი

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (31 ქულა, 9 პასი, 7 მოხსნა), ოდომი (19 ქულა, 13 მოხსნა)
**ფინიქსი:** სტუდემაიერი (27 ქულა, 21 მოხსნა), მერიონი (22 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (17 ქულა, 23 პასი), ბარბოსა (16)



შალვა გაჩეჩილაძისა და „ასპარეზის“ საჩემპიონო ნახტომი



როინ მარგიანი და მისი „ზეცა“

# მეხსიერება მარტო ცხენს არ უნდა ჰქონდეს

**სპორტის** ისტორიას ალამაზებს მოსაგონარი ტურნირები და პრიზები. ასეა ცხენოსნობაშიც. ცხენთა გამოცდა — დოღი რომც არ ვიგულისხმოთ, საკუთრივ კლასიკური სახეობებისთვისაც არაა უცხო — არც საქართველოში იყო გამონაკლისი, თუმცა ასეთი სამახსოვრო ჯილდოები შეიძლებოდა მეტიც ყოფილიყო — ჩვენი ღირსეული მხედრები, საცხენოსნო სპორტის მოღვაწეები ნამდვილად იმსახურებდნენ ასეთ პატივს, მაგრამ დღესდღეობით მხოლოდ ერთი მოქმედი მემორიალი არსებობს, რომელიც წელს მერვედ გათამაშდა.

ეს გახლავთ გამოჩენილი უნივერსალური სპორტსმენის ავთანდილ ყიფიანის ხსოვნის პრიზი, რომელიც მისი გარდაცვალების შემდეგ, 2000 წელს დაბრკოლებათა გადალახვაში დააწესეს აშშ-ის მოქალაქეებმა გრიგორი გოლოსოვმა და ელენა რომან-პოგორჟელსკაიამ. გოლოსოვი კონკურისტია, ხოლო მისი მეუღლე ელენა ავთანდილის მწვრთნელობით თბილისში, დელისის იპოდრომზე იმაღლებდა ოსტატობას ცხენის გაწვრთნის სახეობაში. ამ დარგში კი ავთანდილმა 1978 წელს სსრკ ჩემპიონობა მოიპოვა (მაშინ იგი 45 წლის იყო). მანამდე მას უკვე გავლილი ჰქონდა მხედრის დიდი გზა — ხალხური მარულიდან და ქართული ცხენოსნური თამაშებიდან, ვიდრე კლასიკური ცხენოსნური სამჭიდის ალიარებულ ოსტატობამდე.

წელს ეს გარდამავალი პრიზი მერვედ გათამაშდა. აქამდე შვიდ, სხვადასხვა ასაკისა და გამოცდილების მხედარს ჰქონდა მოგებული (პირველ ტურნირში ავთანდილის ვაჟმა, მამის კვალზე ღირსეულად დამდგარმა კახაბერმა — კონკურისტმა და ცხენბურთელმა გაიმარჯვა). ახლანდელ გათამაშებაში კი ხსოვნის პრიზი მეორედ მოიგო ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის პირველკურსელმა შალვა გაჩეჩილაძემ („ასპარეზი“). მან და გამოცდილმა როინ მარგიანმა („ზეცა“) ძირითად მარშრუტზე თითო დაბრკოლება დააზიანეს, დამატებით ხტომებში კი შალვა უშეცდომო იყო, ხოლო როინმა კვლავ დააზიანა ბარიერი, მაგრამ მისი ბედაური ჯერ ახალგაზრდული ასაკისაა და მისი ეს მეორე ადგილი ნამდვილად სასიხარულოა. მესამეზე გავიდა თბილისის პირადი ჩემპიონატის შარშანდელი გამარჯვებული ვანო ნორაკიძე („ფლოქვი“).

თბილისის ჩემპიონატი შემთხვევით არ გვიხსენებია: წლევანდელი ნაგვიანევი გაზაფხულის გამო რამდენჯერმე გადაიდო დაგეგმილი ასპარეზობები და აპრილის მიწურულს გადაწყდა ორი ტურნირის გაერთიანება. ამდენად შალვა გაჩეჩილაძე თბილისის 2007 წლის ჩემპიონიც გახდა. ახალგაზრდა ცხენებით ეს ტიტული წინა დღეს მოიპოვა ვანო ნორაკიძემ („ეროსი“-4), მეორე იყო გიორგი აფციაური („გედი“-8), ორივე თბილისის „ჟოკეიკლუბის“ მხედარია. მესამეზე გავიდა გიორგი სამხარაძე („ელდორადო“). სპორტსკოლის წარმომადგენელმაც ორი დაბრკოლება დააზიანა, მაგრამ მეტი დრო დასჭირდა. აღსანიშნავია, რომ როინ მარგიანს ამ მარშრუტზე 7 მონაწილიდან ყველაზე უარესი შედეგი ჰქონდა (-16); ასე რომ, მისი გაბედული გადაწყვეტილება ძირითად ჯგუფში გამოსვლისა, ნამდვილად დასაფასებელია, მით უმეტეს, რომ მისი ფიცხი და ახოვანი ბედაურისთვის დაბრკოლებათა სიმაღლე (125სმ) დაუძლეველი არ აღმოჩნდა.

სასიამოვნოა, რომ „ჟოკეიკლუბი“ ახალბედა მხედრებს „ნამდვილ“ ასპარეზობაში მონაწილეობის საშუალებას აძლევს. მით უმეტეს, რომ მათ გვერდით კონკურსგარეშე გამოცდილი მხედრებიც გამოდიან — ან სულ ახალბედა, ანდა დროებით „შესვენებული“ ცხენებით. ამ ასპარეზობაზე საპრიზო ადგილები (სხვადასხვა ცხენებით) გიორგი თოხაძემ და ირაკლი კასრაძემ მოიპოვეს.

**ნოდარ ეგრალიძე**

წყალბურთი

# უკრაინულ წყალში ვერცხლი გამოჩნდა

**უკრაინიდან დაბრუნდა საქათრველოს წყალბურთელთა ახალგაზრდული ნაკრები, რომელმაც იქაური ღია ჩემპიონატის მეხუთე ტურის სამ მატჩში მიიღო მონაწილეობა. ჩვენებმა პირველ თამაშში სევასტოპოლის ნაკრებს 11:9 მოუგეს, შემდეგ ხარკოვის „დინამოსთან“ ფრედ ითამაშეს და ბოლო, უმნიშვნელოვანეს დაპირისპირებაში ლვოვის „დინამოს“ 8:6 აჯობეს. უმნიშვნელოვანესში იმიტომ, რომ ლვოვის გუნდი ქართველების უშუალო კონკურენტია ვერცხლის მდელებისთვის ბრძოლაში და მათთან მოგებამ უფრო განგვიმტკიცა მეორე ადგილზე გასვლის იმედი.**

**უფრო დაწვრილებით უკრაინაში ჩატარებულ თამაშებზე ნაკრების თავკაცმა სოსო მაისურაძემ მოგვითხრო**



— სევასტოპოლელებთან თამაში თავიდანვე ჩვენი კარნახით წარიმართა და მოგებაც არ გაგვჭირვებია. მათგან ყველაზე მეტი პრობლემა ლეგიონერმა იური სასლავსკიმ შეგვიქმნა, თუმცა მთლიანობაში მაინც მოხერხდა მისი გაუვნებლება, რაც ზურა რურუას დამსახურებაა. რურუა მას პერსონალურად მეურვეობდა.

უფრო სუსტ ხარკოვის „დინამოსთან“ ფრე ფსიქოლოგიური მომენტით იყო განპირობებული. ბიჭებმა მეტოქე სათანადოდ არ შეაფასეს, ვერ ვიტყვი, მაგრამ ნაწილობრივ ეს მომენტიც იყო. მსაჯმაც ცალკე შეგვიქმნა პრობლემები. 7:6 რომ მიგვყავდა, არარსებული პენალტი დაგვინიშნა და ამიტომაც ვერ მოვიგეთ, თან ეს ყველაფერი ბოლო წუთებზე მოხდა. მერე მსაჯს ვეკამათე კიდეც, რის გამოც ბოლო თამაშს ტრიბუნიდან ვადევნე თვალი.

უშუალო კონკურენტ ლვოვის „დინამოს“ სწორი, ტაქტიკური თამაშის ხარჯზე ვძლიეთ. ისე გავაკეთეთ, რომ მსაჯმა თავიდანვე მათი ორი ლიდერი გააძევა და მერე მოგებაც აღარ გაგვჭირვებია. გამარჯვებაში ლომის წილი მეკარე ზურაბ ჭუმბურიძემ დაიდო. კარგად ითამაშა კაპიტანმა ზურა რურუამ — 7 ბურთიც გაიტანა და გუნდის სული და გული იყო.

— წასვლის წინ პესიმისტურად იყავით განწყობილი, შედეგი კი კარგი მიიღეთ...

— პესიმიზმის მიზეზი არაერთგზის ნათქვამი პრობლემები იყო. ასეთი შედეგი კი მეტოქეთა არცთუ მაღალმა დონემ განაპირობა. აღნიშნულ ტურს ლეგიონერებით გაძლიერებულნი ვერ შეხვდნენ. იღბალიც ჩვენს მხარეს აღმოჩნდა — ტრავმა არავის მიუღია და მოთამაშეც მხოლოდ ერთხელ გაგვიგდეს.

— მესამე ადგილზე მყოფ ლვოვის „დინამოსთან“ ფორა სოლიდური გაქვთ. შეძლებთ მეორე ადგილზე გასვლას?

— ბოლო ტური 13 ივნისს გველის. იქ უკვე ექვსი თამაშის ჩატარება მოგვიწევს. აუცილებელია, რომ 15 კაცი წავიყვანოთ. თუ ხალხი გვეყოლება, მეორე ადგილს არავის დავუთმობთ.

მანამდე კი მე-6 ტურში გასამგზავრებელი თანხაა საშოვნელი. აქვე მინდა, მადლობა გადავუხადო ჩვენს საპატიო ვიცე-პრეზიდენტ ლადო კვარაცხელიას, რომელიც მუდამ გვეხმარება.

**ლექსო მაისურაძე**

ფრენბურთი



# ჯიხაიში მართლა დიდია

**თბილისი 3:2 თბილისი 2**
*25:15, 25:21, 15:25, 23:25, 17:15*

**დია 0:3 ჯიკო**
*18:25, 12:25, 15:25*

**ფრენბურთში** საქართველოს ჩემპიონატის პლეი ოფებია, ამ უქმეებზე ქალთა ოთხმა საუკეთესო გუნდმა ერთმანეთში საფინალო საგზურები გაათამაშა. დედაქალაქური დერბი „თბილისსა“ და „თბილის 2“-ს შორის საკმაოდ დაძაბულ ბრძოლაში „თბილისი I“-ის გამარჯვებით დასრულდა, ხოლო ლუშეთში ადგილობრივმა „დიამ“ ვერაფერი მოუხერხა ჩემპიონატის მთავარ ფავორიტს დიდი ჯიხაიშის „ჯიკოს“. ფინალური სერიის პირველი მატჩი 12 მაისს თბილისში გაიმართება.

**ზურაბ მიგრიაული**

# გაბადრული ჩვენი ბადრი ისევ აგვიჯაჯღანდა

## ყუთიდან გამოფრენილი ჩიტის უმზავში





— რაია, რაფრა ჩამოგიჭრიათ და მიგიჭრ-მოგიჭრიათ ამ სურათისთვის, ამდონი ხნის განმავლობაში რავა ვერ ისტავლეთ გაზეთში ფოტოს მიცემა, ან ვინ იჯდა ამ კომპიუტერთან, რას გავს აქაურობაო, კიდევ ერთხელ ჩვეულებისამებრ აჯაჯღანდა და უკანმოუხედავად გავარდა. ჩვენც, ვინც იმ დროს საქმედალეულები ვიყავით, საქომაგოდ დავედევნეთ, იქიდან კი ეს ჩვენი აქოთქოთებული ბადრი სახეგაბადრული დაბრუნდა.

ჰო, ზოგჯერ ცოტა ჯაჯღანა კია ბადრი კეთილაძე, მაგრამ თავის გვარს მუდამ ამართლებს. რაც მთავარია, თავისი საქმე ფრიადზე იცის და არც არასოდეს ჩაუგდია. იმ დღეს კი ჩაუვარდა. ჩაუვარდებოდა, აბა, რა იქნებოდა, როცა იმ საღამოს მთავარი მოქმედი პირი გახდა და საკუთარ თავს თვითონ ხომ არ გადაუღებდა სურათებს — საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ ფოტოკონკურსზე მოგახსენებთ, რომლის თემაც „ქართული სპორტი" იყო. ბადრი კეთილაძე ამ კონკურსის მთავარი ლაურეატი გახდა და პირველი პრემიაც დაიმსახურა. „კოპალაში" დასაჯილდოებლად რომ უხმეს და ტელეჟურნალისტები საინტერვიუდ შემოესივნენ, მაშინ კი გამოვტაცეთ თავისი „ქენონი" და მის პატრონს დავუმიზნეთ. რა ვუყოთ, თუ ისეთი ფოტოები ვერ გამოვიდა, როგორსაც თავად გადაიღებდა, მაგრამ ამას როგორმე გვაპატიებს მკითხველი, იმედია, ამჯერად არც თავად გაბადრული ჩვენი ბადრი აგვიჯაჯღანდება, მით უმეტეს, რომ მის საყვარელ სპორტულ ფოტოგრაფიაზე და ზოგადად შუქით წერაზე ვსაუბრობთ. ამ საქმეში თავის პირველ ნაბიჯებს ხალისიანად, დროდადრო სიცილისგან ჩაბჟირებული იხსენებს

— ცურვასა და მძლეოსნობაში ვვარჯიშობდი, თან დიდ სპორტსმენობაზე ვოცნებობდი. ერთი-ორჯერ შეჯიბრებაზე რომ გამოვედი, იქ ფოტორეპორტიორები არ გამოჩენილან. გავბრაზდი და ფოტოკორესპონდენტობა გადავწყვიტე, მაგრამ საქმის ბაიბურში არ ვიყავი. მერე ქუთაისის ავტომშენებელი ქარხნის სამხატვრო ბიუროში დავიწყე მუშაობა. დამავალეს, წადი, ერთი მოწინავე მუშა გადაიღეო. გადავიღე და მივიტანე. წინა პლანზე ტანკივით უშველებელი ჩარხი იდგა, უკანა პლანზე კი ის მოწინავე ხარატი ასანთის კოლოფის ოდენა ძლივს მოჩანდა. მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა ობიექტივების ნაირგვარობაზე, სივრცულ კომპოზიციაზე და საერთოდ კომპოზიციაზე. იმ სურათზე ბევრი იცინეს და მივხვდი, უნდა მესწავლა. ამიტომ ფოტოსტუდიებში და სკვერებში სამფეხებზე შემომდგარი ხის ყუთების პატრონებს ჩამოვუარე და ათასი კითხვა დავუსვი, იმათ კი, აბა, ეგ მე რა ვიცი, ის ჩვენ რა ვიცით, წარმოდგენაც არ გვაქვსო. გავბრაზდი. ვიფიქრე, ახალი კონკურენტები აღარ უნდათ და ესენი არაფერს მასწავლიან-მეთქი. გვიან მივხვდი, რომ იმ ფოტოგრაფებმა სათავისოდაც არაფერი იცოდნენ. მათი ერთადერთი ცოდნა ეს იყო — არ გაინძრე, აქედან ჩიტი გამოფრინდებაო და მერე ოყნასავით რეზინის ბურთს ხელს აჭერდნენ. ჰოდა, ხის ყუთიდან ჩიტის გამოფრენის მოლოდინში გადაღებული ბავშვები და ზოგჯერ უფროსებიც სურათებზე პირდაღებულნი და გაკვირვებული სახეებით გამოდიოდნენ...

— გაზეთში გამოქვეყნებული შენი პირველი სპორტული ფოტო ნამდვილად გემახსოვრება...

— მაგას რა დამავიწყებს. თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" მატჩი გადავიღე და გაზეთ „ქუთაისის" რედაქტორ თამაზ ხარაბაძეს სურათები მაგიდაზე გავუშალე. გადახედ-გადმოხედა, თვალები გაუბრწყინდა და მივხვდი, მოეწონა, მაგრამ ეს ახალგაზრდა, ზორბა კაცი საცოდავად მოიკუნტა, მთლად დაილია და სახე შეეჭმუხნა. მიცვალებულთა განცხადებებით სული ძლივს გვიდგას და შენთვის გადასახდელი ჰონორარი სად გვაქვსო. მართლაც, აბა, საიდან ექნებოდათ იმ დაქცეულ 90-იანი წლების დასაწყისში, როცა გაზეთები დღესაც სულს ღაფავენ. ჰოდა. თამაზ ხარაბაძე იქით დავამშვიდე, ჰონორარი რად მინდა, თუ დამიბეჭდავთ, დიდად მადლობელი დავრჩები-მეთქი. მართლაც, გამომიქვეყნა ერთხელ, მეორედაც, მესამედაცსიხარულით გავგიჟდი და ცას ვეწიე.

— „სარბიელში" როგორღა მოხვდი?

— ერთ მშვენიერ დღეს ქუთაისში, თავსხმა წვიმაში ფეხბურთს რომ ვიღებდი, ვიღაც ქოლგიანი ბიჭი მომიახლოვდა, გვერდზე ამეტუზა, გაზეთს ვაკეთებ, „ბურთი და მოედანი" ჰქვია, ჩვენთან ფოტოკორესპონდენტად ხომ არ იმუშავებო. გამეცნო, ვახო ვარ ბზიკაძეო. ერთხელაც მოდის ეს ჩვენი ვახტანგი და მეუბნება, „სარბიელში" მუშაობას გვთავაზობენ, რას იტყვითო. შინ მირჩიეს, წადი თბილისში, იქნებ რამე გეშველოს, ხომ ხედავ, აქ ყველანი მშივრები ვკვდებითო. მას მერე მე და ვახო „სარბიელთან" ერთად მოვდივართ და აგერ, „ამერშიც" ერთად ვართ.

— ყველაზე მეტად სპორტის რომელი სახეობის გადაღება გიყვარს?

— რაგბი ყველაფერს მირჩევნია. ძალიან დინამიური თამაშია, შენც სულ მოძრაობაში ხარ და თავად მორაგბეებზე ნაკლებს არ დარბიხარ, მაგრამ მე რომ მიყვარს, ეგრე სადაა. ჩემ ნებაზე რომ იყოს, მძლეოსნობას, ცურვასა და წყალბურთს დიდი ხალისით გადავიღებდი, მაგრამ სადღაა ეს სახეობები. ამიტომ, მინდა თუ არა, ფეხბურთს ვიღებ, თუმცა, აღარც დიდი ფეხბურთია. რაც უნდა კარგი მომენტი დაიჭირო, ყველაფერი წყალში გადაგეყრება, როცა ფონზე ცარიელი ტრიბუნები ჩანს, რაიონებში კი — მორღვეული ღობე და ღობის იქით გაფენილი სარეცხი... მაგრამ ამას ვინ ჩივის, როცა ზოგჯერ სარბიელზე ჭყვიტინით გოჭები მორბიან, ან სადღაც კარს უკან ძროხა ბალახობს.

— მაგრამ, აი, პირველი პრემია ფეხბურთისა და რაგბის კი არა, რამაზ ნოზაძის ჭიდაობის ამსახველ ფოტოებში მიიღე.

— სულ ეგაა: ჭიდაობა, რაგბი, ფეხბურთი, კიდევ ჩოგბურთი და ერთი-ორი კინკილა შეჯიბრება, რომლებიც თბილისში ტარდება. მინდა თუ არა, ამ სახეობებს ვარ მიწებებული.

— ეთანხმები იმ აზრს, რომ სპორტული ფოტოგრაფია „შუქით წერაში" ყველაზე რთულია?

— რა თქმა უნდა, ვეთანხმები. სპორტულ ფოტორეპორტიორს მეთევზის მოთმინება, სნაიპერის ნერვები, სპორტსმენივით სწრაფი რეაქცია, მხატვრის ხედვა, გამომძიებლის ინტუიცია და კიდევ ბევრი სხვა თვისება მართებს. ავტომობილი ყველას დაჰყავს, მაგრამ ყველა ავტომრბოლი და მით უმეტეს, შუმახერი ხომ არაა. სპორტული ფოტოგრაფიაც ასეა. ბევრი კარგი ფოტორეპორტიორი ვიცი, მაგრამ სპორტს ფირზე სამიანზეც კი ვერ აღბეჭდავს. ამ რამდენიმე წლის წინ ამერიკელებმა ფოტოგრაფიაში სემინარები ჩაგვიტარეს. გვითხრეს, ჩვენთან სპორტს სპორტული ფოტორეპორტიორებიც იღებენ და არასპორტულნიც, რადგან ეს საქმე საუკეთესო ვარჯიშად მიაჩნიათ და რედაქტორები თავიანთი ფოტოკორესპონდენტების განაც მოითხოვენ სპორტული პაექრობების გადაღებას. ამიტომაც სპორტული ფოტორეპორტიორები ყველა სხვა სფეროსაც სხვაზე უკეთ აღბეჭდავენ ფირზე.

— კი მაგრამ, აი, ფეხბურთის მატჩისას კარს უკან ჩასაფრებული ფოტორეპორტიორები, სპორტულნიც და არასპორტულნიც, კარგი მომენტისას ერთდროულად აჭერენ თითს ღილაკს...

— დიახ, მაგრამ იმ ათობით და ასობით რეპორტიორიდან ერთი რომელიღაც წამის რაღაც მეასედით ადრე თუ გვიან იღებს, თანაც ოდნავ განსხვავებული რაკურსით და საუკეთესო ფოტოც მისი გამოდის. ხშირად რამდენიმე კაცი აბსოლუტური სიზუსტით ერთდროულად იღებს, მაგრამ რომელიღაცისა მაინც გამორჩეული, რაღაცით უკეთესია. მაგალითად, აი, ჩვენი კონკურსის მესამე პრემიის მფლობელი, ლელოელი ნუგზარ სუარიძე ავიღოთ. თითქოს სხვებივით იმავე კადრს აღბეჭდავს ფირზე, მაგრამ ბოლოს მისი ფოტოები რაღაცით მაინც განსხვავებული და უკეთესია. მის ფოტოებს ეტყობა, რომ გააზრებულად იღებს, ფიქრის ბეჭედიც აზის. არის ზოგი ავტორი, რომელიც თავისივე კარგ და ცუდ ფოტოს ერთმანეთისგან ვერ არჩევს. არის ფოტოებიც, ეგრეთ წოდებული ლამაზი სურათები, რომლებიც ესთეტიკურად საამო სანახავია, მათზე ყველაფერი თითქოს დაცულია: კომპოზიციაც, „ოქროს კვეთაც", ტონალობაც, კონტრასტიც, შუქიც, ჩრდილიც, ფაქტურაც და კიდევ ათასი რამ, მაგრამ ეს ფოტო მხატვრულობამდე ვერ მაღლდება, არ აქვს სიმბოლური მნიშვნელობა და მხოლოდ მშრალი ოქმივით აფიქსირებს მომხდარს; არ გვაღელვებს, არ გვაფიქრებს და განსჯისკენ არ გვიბიძგებს.

— და ამ ყოველივეს ზურაბ ჟვანიას სახელობის საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში რომ ასწავლი, როგორ ითვისებენ შენი აღსაზრდელები?

— მე იქ სპორტული ფოტოგრაფიის განხრით ვუკითხავ ლექციებს, მაგრამ კაცმა ეს საქმე რომ მეტ-ნაკლებად აითვისოს, ჯერ თავად ფოტოგრაფია უნდა ისწავლოს, მერე ჩემს ლექციასაც ალბათ მეტი ფასი დაედება, თორემ ახლა ისე გამოდის, როცა სპორტის ამა თუ იმ სახეობის ნაკრების მწვრთნელს თავისი აღსაზრდელებისთვის ანა-ბანას სწავლება უხდება. მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ ამგვარი გამოფენა-კონკურსები, „კოპალაში" რომ ჩატარდა, დიდად შეუწყობს ხელს სპორტული ფოტოგრაფიის და თავად სპორტის განვითარებასაც. იგი ხელს შეუწყობს არა მხოლოდ ახალბედების, არამედ გამოცდილი ფოტოჟურნალისტების დაოსტატებასაც. ეს გამოფენა-კონკურსი ჩემთვისაც კარგი სკოლაა, აქ ერთმანეთის ნამუშევრებიც ვნახეთ და ამიტომაც ვისურვებდი, რომ იგი ტრადიციად დამკვიდრდეს, გაფართოვდეს და საერთაშორისო დონისა გახდეს.

* * *

აი, ასე ფიქრობს და ოცნებობს ჩვენი ბადრი, რომელიც ამ პრემიამ საგონებელში ჩააგდო — ახლა რამეფრა ერთი ამდონი ფულიც რომ მაშოვნინა, უბრალო, თეთრ ტელეობიექტივს ვიყიდიდიო. თეთრი ობიექტივი ბადრის ძველი ოცნებაა, მაგრამ მეუღლემ დაიჩემა, გავწყდი წელში, მაგ ფულით სარეცხი მანქანა მოგვივაო. ჰოდა, დილემის წინაშე დამდგარი ბადრი მეორე დღეს ისევ აგვიბუზღუნდა.

**ავთანდილ ბურასაშვილი**



# ეს უკვე აღარ გვაოცებს

## 20 წლის ნადალის 20 ტიტული

**კაცები**
ბარსელონა. ესპანეთი. თიხნარი
საპრიზო 900 000 $

**ფინალი**
**რაფაელ ნადალი** (1, ესპანეთი) — გილერმო კანასი (12, არგენტინა) 6:3 6:4

**კაცები**
კასაბლანკა. მაროკო. თიხნარი
საპრიზო 391 000 $

**ნახევარფინალი**
**პოლ-ანრი მატიო** — ალბერტ მონტანიესი (ესპანეთი) 6:1 6:1

რაფაელ ნადალის თიხნარზე მოგები დღესდღეობით უბრალოდ არავინ და ყველას მოუწევს ამასთან შეგუება — ამ საფარზე ესპანელს უკვე წესიერ ბრძოლასაც ველარავინ უმართავს. რაფამ ეს გუშინაც დაამტკიცა, როცა კარიერის პიკზე მყოფ გილერმო კანასს ორ სეტში ნერვაუტოკებლად და უპრობლემოდ მოუგო. არგენტინელმა მხოლოდ მატჩის დასაწყისში, პირველ გეიმში გაიბრძოლა და როცა ორი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა, ეგ იყო და ეგ, იქიდან მოყოლებული ნადალი, მატჩის აბსოლუტური ბატონ-პატრონი იყო.

რაფამ ზედიზედ მესამედ მოიგო ბარსელონაში და ტურნირის 55 წლიან ისტორიაში მხოლოდ მეორე ჩოგბურთელია, ეს რომ მოახერხა — აქამდე იგივე მხოლოდ ლეგენდარულ შვედ მატს ვილანდერს გაუკეთებია 1982-84 წლებში.

ნადალისთვის ეს ზედიზედ მოგებული მე-12 სათიხნარო ტურნირი გამოდგა. მთლიანად კარიერაში კი 20 წლის მალიორკელს 20 ტიტული დაუგროვდა, რომელთაგან 15 გრუნტზე აქვს მოგებული. ამ მაჩვენებლით ნადალი გუსტავო კუერტენს დაეწია და ყველა დროის ჩოგბურთელთა შორის კარიერაში მოგებული სათიხნარო ტიტულების რაოდენობით ბრაზილიელთან მეოთხე ადგილს იყოფს.

საოცრებაა ის, რომ რაფა თიხნარზე ჩატარებული ფინალებში ჯერ ერთხელაც არ დამარცხებულა. ისე, ესპანელი გადამწყვეტ შეხვედრებს ყოველთვის ძალიან კარგად თამაშობს — ასე განსაჯეთ, დღეისთვის მხოლოდ სამი ფინალი აქვს წაგებული, რის გამოც ფინალების მოგების პროცენტული მაჩვენებლით (86,9%) თვით როჯერ ფედერერსაც სჯობნის (77%).

ამ გამარჯვების შემდეგ ნადალმა საჩემპიონო რბოლაში გადაასწრო როჯერ ფედერერს, რაც ასევე დიდი მოვლენაა — მოგეხსენებათ, შარშან შვეიცარიელმა უნიკალური რამ გააკეთა, როცა ამ რბოლას პირველივე კვირიდან წლის ბოლომდე მეთაურობდა, ახლა კი ნადალმა შუა სეზონში გადაასწრო „მხიარულ როჯერს".

**კახა ლომაშვილი**

# სარეიტინგო ადი-ჩადი

საკმაოდ დიდი უკუსვლის შემდეგ, როდესაც მესამე ასეულიდან ერთბაშად მეხუთეში, 405-ე ადგილზე აღმოჩნდა, 17 წლის ანა ტატიშვილმა ისევ ზემოთ ასვლა დაიწყო და გუშინ გამოქვეყნებულ რეიტინგში 59,75 ქულით 335-ე ადგილზეა. მომავალ ორშაბათს, როდესაც ანას სი აილენდში მოპოვებული ქულებიც დაემატება, ის უფრო მაღლა ავა და იმედია, მისი პროგრესი ამით არ დასრულდება.

სამწუხაროდ, ტატიშვილი ქართველი ჩოგბურთელებიდან, ფაქტობრივად, ერთადერთია, რომელმაც რეიტინგში მდგომარეობა მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა. დანარჩენები, დაახლოებით იმავე ადგილებზე არიან — ზოგმა რამდენიმე ნაბიჯით წინ წაიწია, სხვები კი ასევე რამდენიმე საფეხურით დაბლა დაეშვნენ.

| კაცები | |
|---|---|
| 174 (+2) ირაკლი ლაბაძე | 235 |
| 469 (+4) ლადო ჩიხლაძე | 60 |
| 1342 (+6) ნოდარ ითონიშვილი | 2 |
| **ქალები** | |
| 152 (-6) მაკა ჩახნაშვილი | 199,5 |
| 335 (+57) ანა ტატიშვილი | 59,75 |
| 464 (-13) სოფო მელიქიშვილი | 36,0 |
| 520 (+19) სალომე დევიძე | 28,25 |
| 688 (-1) სოფო შაფათავა | 15:25 |
| 770 (-1) ეკა გორგოძე | 12,0 |
| 816 (-2) მანანა შაფაქიძე | 10,25 |
| 915 (-1) ოქსანა კალაშნიკოვა | 7,5 |
| 1068 (+1) თეონა ცერცვაძე | 5,25 |
| 1186 (+2) სოფო ქვაცაბაია | 4,0 |
| 1317 (-2) მარიამ ქურდაძე | 2,75 |

# კაცები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 7290 |
| 2. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 4875 |
| 3. ენდი როდიკი (აშშ) | 2980 |
| 4. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 2825 |
| 5. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 2595 |
| 6. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 2535 |
| 7. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 2445 |
| 8. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 2220 |
| 9. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 2150 |
| 10. ენდრი მიურეი (ბრიტანეთი) | 2120 |
| 11. ტომი ჰაასი (გერმანია) | 2100 |
| 12. ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) | 1905 |
| 13. დავიდ ნალბადნდიანი (არგენტინა) | 1840 |
| 14. მარიო ანჩიჩი (ხორვატია) | 1775 |
| 15. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 1745 |
| 16. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 1725 |
| 17. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 1575 |
| 18. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 1325 |
| 19. მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) | 1320 |
| 20. ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია) | 1250 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. რაფაელ ნადალი (ესპანეთი) | 365 |
| 2. როჯერ ფედერერი (შვეიცარია) | 346 |
| 3. ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერბეთი) | 287 |
| 4. ენდი მიურეი (ბრიტანეთი) | 212 |
| 5. ენდი როდიკი (აშშ) | 210 |
| 6. ტომი ჰაასი (გერმანია) | 209 |
| 7. ივან ლიუბიჩიჩი (ხორვატია) | 195 |
| 8. დავიდ ფერერი (ესპანეთი) | 172 |
| 9. ფერნანდო გონსალესი (ჩილე) | 171 |
| 10. გილერმო კანასი (არგენტინა) | 162 |
| 11. მიხაილ იუჟნი (რუსეთი) | 159 |
| 12. ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა) | 158 |
| 13. ნიკოლაი დავიდენკო (რუსეთი) | 140 |
| 14. ტომი რობრედო (ესპანეთი) | 132 |
| 15. ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი) | 121 |
| 16. ჯეიმს ბლეიკი (აშშ) | 119 |
| 17. რიშარ გასკე (საფრანგეთი) | 110 |
| 18. რობინ სოდერლინგი (შვედეთი) | 106 |
| 19. კარლოს მოია (ესპანეთი) | 101 |
| 20. მარდი ფიში (აშშ) | 99 |

# ქალები

### განთესვის რეიტინგი

| | |
|---|---|
| 1. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 3859 |
| 2. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 3388 |
| 3. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 2776 |
| 4. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 2699 |
| 5. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 2667 |
| 6. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 2294 |
| 7. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 2257 |
| 8. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 1957 |
| 9. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 1869 |
| 10. დინარა საფინა (რუსეთი) | 1863 |
| 11. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 1847 |
| 12. სერენა უილიამსი (აშშ) | 1770 |
| 13. ელენა დემენტიევა (რუსეთი) | 1635 |
| 14. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 1616 |
| 15. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 1525 |
| 16. შაჰარ პირი (ისრაელი) | 1508 |
| 17. ნა ლი (ჩინეთი) | 1432 |
| 18. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 1390 |
| 19. პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1337 |
| 20. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 1253 |

### საჩემპიონო რბოლა

| | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი (აშშ) | 1531 |
| 2. ელენა იანკოვიჩი (სერბეთი) | 1430 |
| 3. ჟუსტინ ენინი (ბელგია) | 1050 |
| 4. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 1036 |
| 5. მარია შარაპოვა (რუსეთი) | 1030 |
| 6. კიმ კლაისტერსი (ბელგია) | 985 |
| 7. დანიელა ჰანტუხოვა (სლოვაკეთი) | 937 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი) | 936 |
| 9. ტატიანა გოლოვინი (საფრანგეთი) | 865 |
| 10-11. დინარა საფინა (რუსეთი) | 851 |
| 10-11. ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხეთი) | 851 |
| 12. ანა ჩაკვეტაძე (რუსეთი) | 850 |
| 13. შაჰარ პირი (ისრაელი) | 827 |
| 14. ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 825 |
| 15-16. ნადია პეტროვა (რუსეთი) | 816 |
| 15-16. ანა ივანოვიჩი (სერბეთი) | 816 |
| 17. ნა ლი (ჩინეთი) | 742 |
| 18. ვერა ზვონარიოვა (რუსეთი) | 637 |
| 19. სიბილ ბამერი (ავსტრია) | 600 |
| 20. ლუსი შაფაროვა (ჩეხეთი) | 540 |

# დიდი გურჯობა ანთალიაში

## კალაშნიკოვა-ჭელიძის ქართულ-რუსული ამბავი

**თურქეთის** ხმელთაშუაზღვისპირა კურორტ ანთალიის მაგარსაფარზე ITF-ის ეგიდით ქალთა 25-ათასიანი ტურნირი ტარდება, რომელშიც ოთხი ჩვენებური მონაწილეობს და ოთხივე მათგანი საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე წრეშია, ანუ ძირითად ბადეში შესვლამდე ქართველებს თითო მოგებაღა აკლიათ.



ოქსანა კალაშნიკოვა

რაც ყველაზე სასიხარულოა, ამ ქართულ ოთხეულში სოფო შაფათავასთან, სოფო ქვაცაბაიასა და ოქსანა კალაშნიკოვასთან ერთად არის თინათინ ყაველაშვილიც. ეს 20 წლის ჩოგბურთელი სამი წლის წინ, ანუ 2004 წელს 570-ე იყო რეიტინგში, თუმც შემდეგ მიზეზთა გამო რეიტინგიდანაც გავარდა და საერთოდ აღარ ჩანდა კორტებზე. მაგრამ აი, დაბრუნდა და საკმაოდ წარმატებითაც — ანთალიაში ჯერ რუს იულია ეფრემოვას მოუგო 6:4 7:5, ხოლო შემდეგ კლასიფიკაციის 662-ე ნომერი, ბერძენი ანა კოუმანტუ დაამარცხა 6:3 6:3 და რეიტინგის 1023-ე ნომერს, 17 წლის რუს ალექსანდრა რაზუმოვასაც თუ მოუგებს, ძირითად ბადეშიც მოხვდება.

შაფათავა, ქვაცაბაია და კალაშნიკოვა საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ წრეში თავისუფლები იყვნენ. მეორე წრეში შაფათავამ 6:4 6:1 მოუგო კლასიფიკაციის 770-ე ნომერს, სლოვენიელ მაია კამბიჩს და გადამწყვეტ შეხვედრაში 846-ე ადგილზე მყოფ რუს აუგუსტა ციბიშევას შეხვდება.

ქვაცაბაიამ მეორე წრეში რეიტინგის 1433-ე ადგილზე მყოფ ამერიკელ შერილ ჯერსონს 6:3 6:0 სძლია და მესამე წრეში კი კლასიფიკაციის 695-ე ნომერს, ფრანგ შარლინ ვანესს დაუპირისპირდება.

რაც შეეხება კალაშნიკოვას, ოქსანამ მეორე წრეში 6:1 6:0 მოუგო ქართული წარმოშობის რუს ელენა ჭელიძეს და ახლა სომხური წარმოშობის რუსთან, რეიტინგში 697-ე ადგილზე მყოფ დიანა არუტინოვასთან გაარკვევს ურთიერთობას.

# იბერიელთა იბერიული მარცხი

**ანთალიაში** მოთამაშე ქართველი ქალებისგან განსხვავებით, მარცხიანი კვირა გამოუვიდათ ჩვენს კაც ჩოგბურთელებს. ლადო ჩიხლაძე ესპანეთის ქალაქ ლანზაროტის თიხნარზე მიმდინარე 50-ათასიანი „ჩელენჯერის" საკვალიფიკაციო ეტაპს პირველივე წრეში გამოეთიშა. ესპანელ ხუან ანტონიო სანჩეს დე ლუნასთან ლადომ პირველი სეტი 3:6 წააგო და მერე ტრავმის გამო შეწყვიტა თამაში.

დასავლეთ იბერიაშივე, ოღონდაც ვიკის თიხნარზე მიმდინარე უფრო დაბალი, ITF-ის რანგის შეჯიბრის საკვალიფიკაციო ეტაპის მეორე წრეში დამარცხდა ნოდარ ითონიშვილიც. 19 წლის ქართველმა პირველ შეხვედრაში 6:0 6:1 კი მოუგო ესპანელ ადრია მერკადალ-ბერენგუერს, მაგრამ მერე მძაფრ სამსეტიან ბრძოლაში ტაიბრეიკებზე წარუმატებელი თამაშის გამო 6:7 6:3 6:7 დამარცხდა კიდევ ერთ მასპინძელთან, ანტონიო ოჩოა-კოლადოსთან.

ხელბურთი

## ჩემპიონთა ლიგა. კაცები

### ფინალი. საპასუხო მატჩი

*კილი (გერმანია) 29:27 ფლენსბურგ-ჰანდევიტი (გერმანია) (28:28)*

# ნავსადგურქალაქმა აფრები გაშალა

## ზურგის ქარიც იყო და კილის ქვეშ შვიდი ფუტიც



AFP კილიდან

**ბალტიის** ზღვის პორტ კილის გუნდი „მაგდებურგის" შემდეგ მეორე გერმანული კლუბი გახდა, რომელმაც ხელბურთის ჩემპიონთა ლიგის მოგება შეძლო. თან ყველაზე პრესტიჟული საკლუბო ტურნირის 15-წლიან ისტორიაში ეს პირველი გერმანული ფინალი იყო — „THW კილს" მეზობელი, სულ რაღაც 80 კილომეტრით დაშორებულ, ასევე საპორტო ფლენსბურგის „SG ჰანდევიტი" დაუპირისპირდა.

პირველი მატჩი ფრედ — 28:28 დასრულდა. კილის „ოსტზეეჰალეში" 10 500 მაყურებლის თანდასწრებით საპასუხო შეხვედრაც ბოლომდე დაძაბულად მიმდინარეობდა და ანგარიშში სხვაობა ოთხჯერ მინიმალური იყო, თუმც სტუმრებმა ერთხელაც ვერ მოახერხეს გათანაბრება.

თამაში კილელთა ქარიშხლისებური შეტევებით დაიწყო — 3:0, 7:4. გამორჩეულად აქტიურობდა მსოფლიოს ჩემპიონი კრისტიან ზაეცი, რომელმაც 13 წუთში ამ შეიდიდან ოთხი გოლი გაიტანა. ტაიმი მასპინძლებმა ხუთბურთიანი სხვაობით მოიგეს — 15:10 და თასის მფლობელის ვინაობაც გარკვეული ჩანდა. მით უმეტეს, რომ „ჰანდევიტს" უკვე მე-19 წუთზე მატჩის ბოლომდე გაუძევეს ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე, დანიელი იოახიმ ბოლდსენი, თუმც გუნდი ბოლომდე მედგრად იბრძოდა და მატჩის მიწურულს ახლოსაც იყო მიზანთან.

ვითარება მას შემდეგ გამწვავდა, რაც პოლონელმა მსაჯებმა ზაეცსაც წითელი ბარათი აუფრიალეს და გაშვედებულმა იუგოსლაველმა ლიუბომირ ვრანიეცმა ჩამორჩენა მინიმუმამდე შეამცირა — 27:28. ერთი გოლიც და თამაში ოვერტაიმში გაგრძელდებოდა, მაგრამ ფლენსბურგელებმა ბოლო წამებზე თავად გაუშვეს ბურთი. ისევე, როგორც პირველ შეხვედრაში, ამჯერადაც ბრძოლას შვედი კიმ ანდერსონის ზუსტმა ტყორცნამ დაუსვა წერტილი — 29:27.

ორივე ფინალური მატჩში ყველაზე შედეგიანი იყო გამარჯვებულთა ფრანგი ლეგიონერი, 23 წლის ნიკოლა კარაბატიჩი, რომელმაც ამჯერად ცხრა ზუსტი ტყორცნა მიითვალა (პირველში რვა).

„კილს" ტრავმების გამო შემადგენლობაში 14-ის ნაცვლად მხოლოდ 11 ხელბურთელი ჰყავდა: მეკარეები ტიერი ომეიერი (30 წლის, საფრანგეთი) და მატიას ანდერსონი (29, შვედეთი), კრისტიან ზაეცი (26, გერმანია, 7 გოლი), კიმ ანდერსონი (24, შვედეთი, 5), ვიდ კავტიჩნიკი (22, სლოვენია, 4), პერ ტომას ლინდერსი (31, შვედეთი, 2), დომინიკ კლაინი (23, გერმანია, 1), ჰენრიკ ლუნდსტრიომი (27, შვედეთი, 1), სტეფან ლოვგრენი (36, შვედეთი), ანდრეი შჩეპკინი (42, ესპანეთი). გუნდის მწვრთნელია უვე შვენკერი.

საჩემპიონო ვეება, ლამაზი თასი კილელთა კაპიტანმა ლოვგრენმა ჩაიბარა ზარ-ზეიმიან და ფოიერვერკიან ვითარებაში.

ეს კლუბის მეათე სალიგო ცდა იყო, რომელიც უმაღლესი წარმატებით დაგვირგვინდა. ზღვისპირელები მანამდე მხოლოდ ერთხელ (2000) გავიდნენ ფინალში და დაძაბულ ბრძოლაში „ბარსელონასთან" დამარცხდნენ — 28:25, 24:29. 2006-07 წლების გათამაშებაში „კილმა" 11 მატჩი მოიგო, ერთი ფრედ დაასრულა და ორი წააგო.

ამრიგად, გერმანიამ წლევანდელი ორივე უმთავრესი სახელბურთო შეჯიბრება მოიგო. ბუნდესნაკრები თებერვალში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ახლა კი საკლუბო ტიტულიც დაისაკუთრა.

**გია ახალაძე**

ჭადრაკი

# კრამნიკმა ლეკოს ბუდაპეშტი გაუმეორა



ვლადიმირ კრამნიკისა და პეტერ ლეკოს მატჩმა უნგრეთში დიდი ინტერესი გამოიწვია

**მსოფლიოს** ჩემპიონმა ვლადიმირ კრამნიკმა პეტერ ლეკოსთან 8 სწრაფი პარტია ითამაშა და 4,5:3,5 იმარჯვა. ამ მატჩს უნგრელმა მიშკოლცმა უმასპინძლა და, როგორც იტყობინებიან, საკმაოდ ბევრი მაყურებელი დაესწრო.

პირველი ორი შეხვედრა ყაიმით დასრულდა, მესამეში კი კრამნიკმა თეთრებით მოიგო და 2:1 დაწინაურდა. მსოფლიოს ჩემპიონმა უპირატესობა მეხუთე პარტიაში კიდევ უფრო გაზარდა, მეორე მარცხი აგემა მასპინძელს და ანგარიში 3,5:1,5 გახადა. ლეკომ მეექვსე პარტიაში სხვაობა ერთ ქულამდე შეამცირა, თუმც სულ ეს იყო, მომდევნო ორი ყაიმით დასრულდა და მატჩიც კრამნიკმა მოიგო.

აღსანიშნავია, რომ აქ ქალაქში მსგავსი შეხვედრები ადრეც ჩატარებულა. შარშან ლეკო მსოფლიოს მე-12 ჩემპიონ ანატოლი კარპოვს დაუპირისპირდა და 4,5:3,5 მოუგო, შარშანწინ კი ინგლისელ მაიკლ ადამსს დაუზავდა — 4:4. 2001-ში მატჩს ბუდაპეშტმაც უმასპინძლა, მაშინაც ერთმანეთს სწორედ ლეკო და კრამნიკი დაეჯახნენ და ის შეხვედრაც რუსის გამარჯვებით 7:5 დასრულდა.

**ლაშა გეგეჭკორი**

ჰოკეი

## პლეი ოფი. მეორე წრე

## აღმოსავლეთი

### ბუფალო 2:1 რეინჯერსი

**მესამე მატჩი**

**რეინჯერსი 2:1 ბუფალო**

*0:0 1:0 0:1 0:0 1:0 (მეორე ოვერტაიმში)*

1:0 იაგრი (21, სტრაკა, მალიკი), 1:1 ბრიარი (53, კონოლი, კემპბელი), 2:1 როჟივალი (97, ნიულანდერი, პოსა)

## დასავლეთი

### ანაჰაიმი 2:1 ვანკუვერი

**მესამე მატჩი**

**ვანკუვერი 2:3 ანაჰაიმი**

*1:1 1:1 0:1*

0:1 პენერი (4, პერი), 1:1 ნესლუნდი (20, უმრ. ოლუნდი, მორისონი), 1:2 ბიუშემენი (30, უმრ. კუნიცი, პრონგერი), 2:2 დ. სედინი (35, პაიეტი, კრაიჩეკი), 2:3 პერი (48, უმრ. პრონგერი, მაკდონალდი)

# ცეცხლთან თამაში

**ბუფალოში** წაგებული ორი მატჩის შემდეგ „რეინჯერსს" შეცდომის უფლება აღარ ჰქონდა — ნჰლ-ის 88-წლიან ისტორიაში ხომ მხოლოდ ორ გუნდს მოუხერხებია 0:3-იანი ჩამორჩენის აღმოფხვრა. ნიუიორკელებისთვის გუშინდელი მარცხი ლამის მთლიანად სერიის წაგების ტოლფასი იქნებოდა და ამიტომაც მანჰეტენის ბინადრებმა ყველაფერი გააკეთეს „ხმლების" წასაქცევად.

„მედისონ სქუერ გარდენში" გუშინ უმაღლესი დონის ჰოკეი გაჩაღდა, სადაც ყველაფერი მხოლოდ მეორე ოვერტაიმში გადაწყდა — ეს კი მეკარეების, რაიანი მილერისა და ჰენრიკ ლუნდკვისტის დამსახურებაა, რომლებმაც მართლაც საოცრებები აკეთეს. ამ მარათონს საბოლოოდ ბუფალოელმა მილერმა ვერ გაუძლო, როცა მიხალ როჟივალის შორიდან გასროლილს ვერაფერი მოუხერხა. „რეინჯერსმა" კი ამ მოგებით „ბუფალოსთან" წაგების ექვსმატჩიანი სერია შეწყვიტა.

აი, „ანაჰაიმმა" კი მოედნის უპირატესობა დაიბრუნა, რასაც თავის სპეც-გუნდებს — მეტობისა და უმცირესობის ბრიგადებს უნდა უმადლოდეს, რომელთა მეშვეობით კალიფორნიელებმა „ვანკუვერი" გასვლაზე დასცეს. „იხვებმა" ორჯერ ორკაცნაკლულებმა არ გაატანინეს მასპინძლებს, თვითონ კი მეტობაში თამაშის სამი შანსიდან ორი გამოიყენეს. თუმც „ანაჰაიმის" მეკარე ჟან-სებასტიან ჟიგერი მაინც აფრთხილებს თავისიანებს:

„არ შეიძლება ამდენი ჯარიმის აკიდება. ეს ცეცხლთან თამაშია და ახლა თუ გადავრჩით, შემდეგში შეიძლება ამაზე ძალიან მწარედ დავიწვათ — მოკლედ, მეტი დისციპლინაა საჭირო".

**ბაჩა ლომაშვილი**



AFP ნიუ-იორკიდან

რეინჯერსელი მიხალ როჟივალის გამარჯვების შაიბა ბუფალოს კარში

## მსოფლიოს ჩემპიონატი

მოსკოვი, რუსეთი. 27 აპრილი – 13 მაისი

### B ჯგუფი

**ჩეხეთი 6:1 ავსტრია**

*2:0 1:1 3:0*

1:0 სიკორა (4), 2:0 პლინკა (1), 3:0 ჩასლავა (32), 3:1 რაიმუნდი (38), 4:1 ბარინკა (45), 5:1 პლინკა (49), 6:1 მარეკი (56)

**აშშ 5:1 ბელარუსი**

*3:0 2:0 0:1*

1:0 ჯონსონი (3), 2:0 სტემპნიაკი (5), 3:0 ლაროუზი (18), 4:0 კლარკი (25), 5:0 სტემპნიაკი (36), 5:1 ანტონენკო (44)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 2 | 0 | 0 | 14:3 | 4 |
| აშშ | 2 | 0 | 0 | 11:3 | 4 |
| ავსტრია | 0 | 0 | 2 | 3:12 | 0 |
| ბელარუსი | 0 | 0 | 2 | 3:13 | 0 |

### D ჯგუფი

**რუსეთი 8:1 უკრაინა**

*2:1 3:0 3:0*

0:1 კლიმენტიევი (4), 1:1 მოროზოვი (10), 2:1 ზინოვიევი (13), 3:1 ნიკულინი (26), 4:1 პროშკინი (33), 5:1 მოროზოვი (40), 6:1 რადულოვი (46), 7:1 მოროზოვი (52), 8:1 ფროლოვი (57)

**ფინეთი 6:2 დანია**

*3:1 1:0 2:1*

1:0 ნუმელინი (8), 1:1 დამგორდი (13), 2:1 კოივუ (15), 3:1 ნუმელინი (19), 4:1 პელტონენი (24), 5:1 ბერგი (42), 6:1 ჰენტუნენი (51), 6:2 შერგორდი (55)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რუსეთი | 2 | 0 | 0 | 17:2 | 4 |
| ფინეთი | 2 | 0 | 0 | 11:2 | 4 |
| დანია | 0 | 0 | 2 | 3:15 | 0 |
| უკრაინა | 0 | 0 | 2 | 1:13 | 0 |

ველორბოლა




# საგაზაფხულო კლასიკა დი ლუკამ დახურა

| პრო-ტურის სერია. 93-ე ლიეჟი-ბასტონი-ლიეჟი, ბელგია. 262 კმ | |
|---|---|
| 1. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი") | 61 სთ, 37 წთ, 24 წმ |
| 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") | +3 წმ |
| 3. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურგი, CSC) | +3 წმ |
| 4. პაოლო ბეტინი (იტალია, „ქვიკ სტეპი") | +6 წმ |
| 5. დავიდე რებელინი (იტალია, „გეროლშტაინერი") | +6 წმ |

**ერთდღიანი** კლასიკური რბოლების საგაზაფხულო სერია ბელგიაში, რიგით 93-ე „ლიეჟ-ბასტონი-ლიეჟით" დასრულდა და ველოსიპედისტთა კალენდარში სუპერრბოლებისა და სხვა მრავალდღიანების რიგი დადგა — უკვე 12 მაისს სამკვირიანი „ჯირო დიტალია" იწყება, ხოლო მერე სეზონის უმთავრესი რბოლის, „ტურ დე ფრანსის" ჟამიც მოაწევს და ერთდღიანი რბოლები ამის შემდეგლა განახლდება.

262-კილომეტრიანი „ლიეჟ-ბასტონი-ლიეჟი" კი იტალიური „ლიქუიგასის" იტალიელმა მრბოლმა დანილო დი ლუკამ მოიგო. დი ლუკამ და დანიური CSC-ის ლუქსემბურგელმა ფრანკ შლეკმა ფინიშამდე ოთხი კილომეტრით ადრე, მკვეთრ დაღმართში შეუტიეს. მათ იერიშს რამდენიმე მრბოლი გამოეხმაურა. მათ შორის იყვნენ შარშანდელი გამარჯვებული, ესპანელი ალეხანდრო ვალვერდე, ერთი კვირის წინანდელი „ფლეშ ვალონის" იტალიელი ტრიუმფატორი დავიდე რებელინი, მეორე იტალიელი, მსოფლიოს ჩემპიონი პაოლო ბეტინი და ერთდღიანი რბოლების ჰოლანდიელი სპეციალისტი მიქაელ ბოოგარდი, ვინც კარიერის ბოლო სეზონს ატარებს.

გამარჯვებულის ბედი ბოლო 400 მეტრზე გაირკვა, როდესაც დი ლუკამ არაქათგამცლელი გზის მიწურულს დამატებითი სიჩქარე ჩართო, ვალვერდესა და შლეკს სამი წამით აჯობა და კარიერაში პირველი კლასიკური რბოლა მოიგო.

ისევე, როგორც „ფლეშ ვალონზე", აქაც ვალვერდე იყო მეორე. არადა, შარშან ორივე ეს რბოლა, სწორედ ამ ესპანელის გამარჯვებით დასრულდა, მაგრამ ალეხანდრომ, რომელმაც სეზონის სტარტზე სამშობლოში ორი ერთკვირიანი რბოლა მოიგო, ადრევე განაცხადა, რომ წლეულს მთავარ აქცენტს „ტურ დე ფრანსზე" გააკეთებდა. ამის მიუხედავად, შარშანდელი „პრო-ტურის" სერიის გამარჯვებული ვალვერდე, წლევანდელ ჩათვლაში უკვე მეორეა და 50 ქულითღა ჩამორჩება რებელინის. დი ლუკამ კი ლიეჟური ტრიუმფით მესამე ადგილზე აინაცვლა.

**გია მუჯირი**

**პრო-ტურის სერიის საერთო ჩათვლა**

**მრბოლები:** 1. დავიდე რებელინი (იტალია, გეროლშტაინერი) 157 ქულა; 2. ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი, „კაისე დეპარნი") 107; 3. დანილო დი ლუკა (იტალია, „ლიქუიგასი") 100; 4. ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, „რაბობანკი) 82; 5. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, „ლიქუიგასი") 79; 6. შტეფან შუმახერი (გერმანია, „გეროლშტაინერი") 75; 7. ფრანკ შლეკი (ლუქსემბურში, CSC) 63; 8. ხუან ხოსე კობო (ესპანეთი, „სონი დიუვალი") 62; 9. ალბერტო კონტადორი (ესპანეთი, „დისქოვერი") 58; 10. ტომ ბოონენი (ბელგია, „ქვიკ სტეპი) 57.

**გუნდები:** 1. CSC (დანია) 134 ქულა; 2. ლიქუიგასი (იტალია) 130; 3. დისქოვერი (აშშ) 120; 4. რაბობანკი (ჰოლანდია) 116; 5. კაისე დეპარნი (ესპანეთი) 115; 6. AG2R (საფრანგეთი) 110; 7. ასტანა (ყაზახეთი) 104; 8. სონი დიუვალი (ესპანეთი) 99; 9. ქვიკ სტეპი (ბელგია) 98; 10 ლოტო (ბელგია) 96.

კრიკეტი

# ოზებმა სამგზისობა დაბინდებამდე იზეიმეს


ეროვნული ბიბლიოთეკა
AFP

**შაბათს** საღამოს კარიბეთის პატარა და ლამაზ კუნძულ ბარბადოსზე ავსტრალიამ ზედიზედ მესამედ დაამტკიცა, რომ კრიკეტში ტოლი არა ჰყავს — ოზებმა ფავორიტის სტატუსით დაიწყეს და მთელი ჩემპიონატი ისე ნარნარი ფრენით გაიარეს, რომ მათ სიძლიერეში ეჭვიც კი არავის შეპარვია. მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებმა ყველა დიდ თუ პატარა მეტოქეს შეუბრალებლად უმტვრიეს ბჭეები მაშინ, როცა ოზ ბეიტსმენებს ანუ დარტყმელებს ვერავინ ვერაფერი მოუხერხა — ტაფელის ავსტრალიელი ოსტატები ამჯერადაც უძლიერესნი იყვნენ.

ოზების ეს მიღწევა მართლაც უნიკალურია — აქამდე ხომ ზედიზედ სამჯერ მსოფლიოს ჩემპიონი არავინ გამხდარა. ეგ კი არა, აგერ უკვე 29-ე მატჩია, რაც ავსტრალია მსოფლიოს ჩემპიონატებზე ერთ შეხვედრასაც კი არ აგებს — ბოლოს 1999 წლის ჯგუფურ ეტაპზე დამარცხდა პაკისტანთან. მას მერე ოზებს მარცხის სიმწარე ერთხელაც არ უგემიათ.

ისე, ავსტრალიელებს ზეიმი კინაღამ ჩაშხამდათ — ჯერ იყო და წვიმის გამო თამაში კინაღამ გადაიდო, მაგრამ ცამ პირი მოკუმა და ფინალიც დაიწყო. მერე, რომ მოსაღამოვდა, ოზებს უკვე დაწყებული ზეიმი მსაჯებმა შეაწყვეტინეს — მოგეხსენებათ, ამ ჩემპიონატზე ერთდღიანი მატჩები იმართებოდა და მისი გადადება აკრძალული იყო. სწორედ ამიტომ თამაში ბინდის დადგომასთან ერთად უნდა შეწყვეტილიყო და ოზებმაც ამიტომ მისცეს თავს ზეიმის უფლება. მაგრამ რადგანაც მატჩი წვიმის გამო გვიან დაიწყო, მსაჯებმა გუნდები მაინც დატოვეს მოედანზე და შრი ლანკას პატარა შანსი უბოძეს, თუმც აზიელებს შაბათს გამარჯვება არ ეწერათ. ოზმა ბეიტსმენებმა წარმატებით დაიცვეს თავი, რის შემდეგაც მათ ველარავინ ვერ შეაწყვეტინებდა დღესასწაულს.

გამარჯვებულთა შორის განსაკუთრებით ვიცე-კაპიტანი ადამ ჯილკრიტსი გამოირჩა, რომელიც მთელი ჩემპიონატი დიდებულად გამოიყურებოდა და თავისი ნაკრების უპირობო ლიდერ გახლდათ.

ფინალისტ შრი ლანკას კი იმით შეუძლია თავი ინუგეშოს, რომ ჩემპიონატის გადამწყვეტ მატჩში გასვლაც კი მათთვის ისედაც დიდ მიღწევა იყო — 1996 წლის ჩემპიონებისგან ასეთი ფხის გამოჩენას არავინ ელოდა, მაგრამ აზიელებმა ამ თვე-ნახევარში ბევრი სიურპრიზი შემოგვთავაზეს. თუმც თავს ზემოთ ძალა არ იყო — ავსტრალიის მჯობნი დღეს მსოფლიოში არავინ არის.

კრიკეტის ისტორიაში ეს ჩემპიონატი მაინც პაკისტანის მწვრთნელ ბობ ვულმერის სიკვდილის გარშემო ატეხილი სკანდალით შევა. ეს ისტორია კიდევ დიდხანს არ ჩაბარდება წარსულს. ხოლო რადგანაც ჩვენ რეგულარულად ვიუწყებოდით გამოძიების შედეგების შესახებ, ბოლო ინფორმაციასაც მოგაწვდით — როგორც გაირკვა, ვულმერი არა მარტო დაახრჩვეს, არამედ მანამდე მოწამლეს კიდეც, რათა წინააღმდეგობა არ გაეწია. მოკლედ, ნამდვილი კრიმინალური დრამაა.

**კახა ლომაშვილი**

| ერთდღიანი კრიკეტის ყველა მსოფლიოს ჩემპიონი | |
|---|---|
| 1975 | ვესტ ინდოეთი |
| 1979 | ვესტ ინდოეთი |
| 1983 | ინდოეთი |
| 1987 | ავსტრალია |
| 1992 | პაკისტანი |
| 1996 | შრი ლანკა |
| 1999 | ავსტრალია |
| 2003 | ავსტრალია |
| 2007 | ავსტრალია |

კრივი

# კუბიდან გაქცეულები დიდ რინგზე ავიდნენ

**რამდენიმე** თვის წინ კუბიდან გაქცეული ათენის ოლიმპიადის ოქრომედალოსან სამ მოკრივეზე ვიუწყებოდით — ეს სამეული სამშობლოდან აშშ-ში გაიქცა იმ იმედით, რომ იქ პროფესიული კარიერის დაწყებას შეძლებდნენ. ისიც მოგახსენეთ, რომ ამერიკელებმა „ფიდელ კასტროს რეჟიმის მორიგი მსხვერპლნი" ხელგაშლილად მიიღეს და ყველანაირი დახმარება აღუთქვეს.

და აი, გასულ ამ უქმეებზე ჰამბურგში სწორედ ამ სამეულის ბრძოლები გაიმართა და კუბელებს პროფესიულ რინგზე პირველი ნაბიჯები წარმატებული გამოუვიდათ.

ყველაზე მოუთმენლად მძიმეწონოსანი ოდლანერ სოლისის გამოსვლას ელოდნენ. — ამ ბიჭს მართლაც სერიოზულ წარმატებებს უწინასწარმეტყველებენ და ამიტომაც მისკენ განსაკუთრებული ყურადღება იყო მიპყრობილი. კუბელმაც გულშემატკივრებს იმედები არ გაუცრუა და 44 წლის მასპინძელ ანდრეას სიდონს პირველივე


ოდლანერ სოლისი

რაუნდში, 47-ე წამზე ისეთა აჯახა, რომ გერმანელი ექიმებმა ძლივს გაიტანეს რინგიდან.

აქვე დანარჩენი ორი კუბელის შესახებაც ვთქვათ — 25 წლის იურიოკოსა გამბოამ 55,2 კგ-მდე წონაში ქულებით დაამარცხა გერმანიაში მცხოვრები სომეხი ალექსან მანველიანი. ისე ამ კუბელმაც დასცა ძირს მეტოქე, მაგრამ სომეხმა ბრძოლის ბოლომდე მაინც გაძლო.

იან ბარტელემი კი 50,2 კგ-მდე წონაში გამოდის. „თავისუფლების კუნძულის" ეს შვილი რუს რავილ მუხამადიაროვს გაუსწორდა. სხვათა შორის, ამ კუბელმაც ჩააჩუტა ფიცარნაგს მეტოქე, მაგრამ ეს ამბავი ბრძოლის მიწურულს მოხდა და რუსის ბედად, გონგმა იმაზე ადრე დარეკა, სანამ მას ნოკაუტით წაგებას ჩაუთვლიდნენ.

**კახა ლომაშვილი**

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ღარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლელა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა ლოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წურწუმია

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge